



7 იანვარი - 7 თებერვალი 1999 წ.

№ 1

გამოცემის პირველი წელი

ფასი 50 თეთრი

გიდოცავთ შობა-ახად ნედს!

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუყანასა ზედა მშვიდობა და კასთა შორის სათნოება“

ჯერ კიდევ უძველეს დროს წინასწარმეტყველ ესაიას პირით აი რას ბრძანებდა უფალი: „... ამა ესე რა დავსდებ საფუძველთა სიონისათა ლოდსა ფრად ბატონსანსა რჩეულსა თავსა კიდურსა ბატონსანსა, საფუძველთა მისთა და რომელსა ჰრწმენეს იგი არასადა ჰრცხვენეს“ (ესაია 28,16).

ეს იყო წინასწარმეტყველება იესო ქრისტეზე. კაცობრიობა კი საუკუნეობით ელოდა ღვთაებრივი ლოგოსის განხორციელებას. „და სიტყუაი იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის“ (იოანე 1,14).

გასაოცარი სიმდაბლით წარუდგა სოფელს უფალი ჩვენი. ჩვეულებრივი ადამიანური სამყოფელის ღირსიც არ გახდა იგი. ბეთლემის გამოქვაბულმა და ბაგამ შეიკედლა და გაათბო ქე ღვთისა.

ანგელოსთა დასი მის ქვეყნად მოგლინებას შეხვდა საზეიმო გალობით „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ამ დროს კი სოფელი, რომლის ხსნისთვისაც განხორციელდა იესო ქრისტე, უგრძობი დარჩა ღვთის შობის აღსრულებული დიადი საიდუმლოების მიმართ. ოდენ ციურნი მნათობნი იყვნენ მოწმენი უცხო სასწაულისა, მხილველნი ახლად შობილი მაცხოვრისა.

და გამოჩნდა უჩვეულო ვარსკვლავი, რომელმაც უწინამძღვრა და ბეთლემის გამოქვაბულთან მიიყვანა მოგვნი ბაგაში მწოლი ღვთის თაყვანისსაცემად.



სასახლისა. ჩვენი ბედლები სავსე იყოს ნაირ-ნაირი მოსავლით, ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათათასობდნენ ჩვენს ჩამოვრებზე. ჩვენი ხარები დატვირთულნი იყვნენ. არც დანაკლისი და არც გოდება ჩვენს ქუჩებში. ნეტარ არს ხალხი, რომლისთვისაც ასეა, ნეტარ არს ხალხი რომლისთვისაც უფალი ღმერთია მისი“ (ფს. 143,12-15).

„აკურთხე უფალმ გვირგვინი ამის წაღიწაღისა სახიარუბითა შინითა.“

მშვიდობა თქვენდა, ჩვენო მაღლიანო მკითხველნო, კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება „ვერისუბანს“ სავანეთო ოჯახში. ვეველას გვეამაუება თბილისის მირ-მწველი უბნები, მათ შორის, „ვერა“ — თავისი ვერელებით და აი, დღეს ვერისუბნის კიდევ ერთი მწველი დაიბადა — გახეთის სახით, რომელიც აირეკლავს მშობლიური უბნის წარსულს, დღევანდელობასა და მომავალს, ამ მისიის გამოა, რომ გახეთს „ვერისუბანი“ დაენათლა სახელად. „ვერისუბნით“ გავიხსენებთ იმ ბრწენვადე საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვნთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელნიც უმუალოდ უკავშირდებიან ვერისუბანს, რომელთაც ახალი ფერები მუშატეს ქართულ და მსოფლიო ცივილიზაციის ხალიტრას.

გახეთ „ვერისუბნის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი — მაია კუსიანი-მაჩაბელი, ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი, ეკონომისტი, შემოქმედლო დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი.



ქ. თბილისის ჩრდილ-დასავლეთიდან სთელი ვერ ანუ ვერა ესაზღვრებოდა. სიღვრა — „ვერისსევი“ — პირუღად X ს. გვხვდება. აღნიშნულ სევი მთიდან მოდებოდა მდ. ვერა, ბთმულიც მცვრას მარჯუენა მხრიდან ებთებოდა. XV ს. მიუე სიმინ —ის მიერ გაცემულ სიგელში მისხენიულია „ვერის სევის“ ცაბრლა. ცალკე სთელის სახელად „ვერს“ ვხვდებით XV ს-ში. იგი საგამამვილ სთელია. ვერს აბრული სახელია სევირთი, სებრთი.

ვასემცი ამმომს: „სთლ კაქრის ჩრდილთ კრბ აბს სევერთის მინნარე, აწ წბდემული ვერე; გამმსდის დიდგბრის მთას, მბდის აღმმსავლით, ებთუის მცვრას დასავლიდამ, ცთილისის ჩრდილთ კრბ მესართავს ზიდა აბს ლუბჯი მმნასცრბი...“



ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის

ერთი მსახიობის თეატრი



სამხატვრო ხელმძღვანელი კოტე მახარაძე

ქართული თეატრის მოყვარულთათვის იღბლიანი აღმოჩნდა 1987 წლის შემოდგომა, — ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი მსახიობი, მრავალმხრივობითა და ღიბუნებოვანი თვისებებით აღსავსე, საქართველოს სახალხო არტისტი — ბაგონი კოტე მახარაძე, ახორციელებს უკეთილშობილეს იდეას და ქართული თეატრის ისტორიას სჩუქნის უღამაზეს დაუთვლელ ფურცელს, — ერთი მსახიობის თეატრს — ფიქრის გორამზე, რომელსაც ქართული თეატრის უდიდესი ამავდარის, კინოსა და თეატრის შეუდარებელი ვარსკვლავის, მსოფლიოში აღიარებული მსახიობის, ქალბაგონ ვერიკო ანჯაფარიძის სახელი ეწოდა.

ერთი მსახიობის თეატრის დაფუძნებას, როგორც მისი დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ბაგონი კოტე მახარაძე გვამცნობს, განსაკუთრებულად ელოდა ქალბაგონი ვერიკო ანჯაფარიძე და მისი ვარდაცვალების შემდეგ ამ თეატრმა მისივე სახელი დაიმკვიდრა და ბინაც ვერიკოს სახლ-მუშეუმის გვერდით დაიდო.

ერთი მსახიობის თეატრის დაარსება ბაგონი კოტესათვის რთულიც იყო და იოლიც, ამავე დროს, რთული იმდენად, რამდენადაც ყოველი დიდი საქმის წამოწყება დიდ სიმძლეებს უკავშირდება, რომლებსაც ბაგონი კოტე რაინდულად შეხვდა და გადალახა კიდევ, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რამდენად იყო იოლი, ეს ადვილად გასაგები გახდება, თუ გადავხედავთ ბაგონი კოტეს წარსულს: ჯერ კიდევ ბავშვი, კოტე მახარაძე, სკოლაში სწავლის პერიოდში ამკლავებდა უდიდეს ნიჟსა და თაყვანისცემას პოემებისა და თეატრის მიმართ, როგორც თავად გვიამბობს, სკოლის სცენაზე წარმატებით ღვაძლა სპექტაკლებს, აწყობდა ესენის, გოგოლის სხვა დიდ პოეტთა პოემების სადამოებებს. 10 წლის ასაკში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებული საბალეტო სკულის მოსწავლე კოტე მახარაძე ოპერისა და ბალეტის თეატრის, სცენაზე ცეკვავს ჩაიკოვსკის „მაკნაგუნეში“, პელაგოვ მარუსია ბაუერის კლასში, კოტე გამორჩეული პლასტიკითა და რითმის შეგრძნებით, არტისტიკითაც გამოირჩეოდა. წარმატებით მიიღო მონაწილეობა საბალეტო სკულის სადიპლომო სპექტაკლში („კოპელია“ —

აგტორი დეკიბი) და შემდეგში თეატრალური განათლების მიღებისთანავე ჩაღვა სახელოვან ქართველ თეატრალთა რიგში, როგორც უნიკალური მოვლენა, რასაც თავად ბაგონი კოტეს ღვაწლი ადასტურებს თანამედროვე ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში.

ერთი მსახიობის თეატრი დაარსებიდან დღემდე მრავალ მაყურებელს იმიდავს და დიდ სიამოვნებას ანიჭებს მათ თავისი არაჩვეულებრივი სპექტაკლებით: „ილია“, „გამოიღვიძე ქნარო“, „ბაგრატიონები“, „აკაკი“, „სტალინი“, „და სიმღერით ვკვები“, „დედა, სვლავ იქნება წვიმა“, „დედა — დედოფალი“.

დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული თეატრის სა-

ობას. ბაგონი მურმანი თეატრს დაარსების დღიდანვე ერთგულად ემსახურება. მის მიერ წარმოდგენილ ქართულ პოემიას — სახელწოდებით „და სიმღერით ვკვები“ — აღიარება მოაქვს და გენიალური მსახიობი ჯილდოვდება კოტე მარჯანიშვილის პრემიით.

ერთი მსახიობის თეატრს დაარსებიდან არა ერთი მოწვევა და საგასტროლო მოგზაურობა ჰქონია, ორი თვის წინ საფრანგეთის ერთ თეატრალური გრადიციების ქალაქ დი-ში გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, სადაც საუკეთესო აღიარება მოიპოვა თეატრმა, რის შემდეგაც პარიზშიც მიიწვიეს სპექტაკლებით: „და სიმღერით ვკვები“ — (მსახიობი მურმან ჯინორია) „დედა — დედოფალი“ — (მსახიობები სოფიო ჭიაურელი — მურმან ჯინორია).

„რაც მგრობას დაუქცევია“ — კოტე მახარაძე.


ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლმა „გამოიღვიძე ქნარო“, თავისი საპრემიერო წარმოდგენა გამართა ისრაელში, რამაც დიდი წარმატებით ჩაიარა და აღაფრთოვანა მაყურებელი, რომელიც ახლებურად ეზიარა ქარულ-ებრაული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ღამაზ და უბადლო ისტორიას.

ახლო მომავლისათვის მზადდება ახალი სპექტაკლი, რომელიც გაასცენიურებს იმ გამოჩენილ ქართველ ამაგდარ თანამემამულეებს, რომელნიც ვალმოხდილნი აღესრულნენ და საუბელურად მათი წმინდა საფლავები უცხოეთშია დამკვიდრებული. დიდი ძალისხმევითა საჭირო, რათა ეს ჩანაფიქრი წარმატებულად დაგვირგვინდეს და ქართველი მაყურებელი ერთი მსახიობის თეატრის სცენიდან ეზიაროს ახალ-ახალ არა ერთი გაურვეელობის გარკვევას იმ მხატვრული ხერხებითა და თეატრალიზებული მეთოდებით, რომელსაც სამგანზომილებიანი დროის ჰარმონია შეიძლება ეწოდოს — ჰარმონია ეროვნული სულის ზეობისა, ჰარმონია ქართული კულტურის გამსოფლიურებისა, ჰარმონია უკვდავებისა და ეს ჰარმონია ელის თავის აგტორს — თანამედროვე სამსახიობო და სარეჟისორო თანავარსკვლავედის ბრწყინვალეობას, მის უდიდებულესობას ბაგონ კოტე მახარაძეს.

სცენები სპექტაკლიდან — „გამოიღვიძე, ქნარო!“



ქმიანობაში ბაგონ კოტეს მეუღლეს, ქართული კინოსა და თეატრის ხიბლს, ქალბაგონ ვერიკო ანჯაფარიძის ღირსეულ ქალიშვილს — მშვენიერ ქალბაგონს — სოფიო ჭიაურელს — საქართველოსა და სომხეთის სახალხო არტისტს, საბჭოთა კავშირის პრემიის ლაურეატს, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატს. ქალბაგონი სოფიოს მიერ გასახიერებული როლი „დედა — დედოფალიში“ — ერთი დიდი მწვერვალია ერთი მსახიობის თეატრის ისტორიაში, სადაც მასთან ერთად ბაგონი მურმან ჯინორია უდიდესი პროფესიონალიზმით იღებს მონაწილე-



„კოლხური კოშკი“



სახლის მშენებლობა რომ დაამთავრა, დაპატიჟა შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა... ბუხარში მწვადი შეწვეს და კონსტანტინეს ხელით დაყენებული ღვინით კარ-მიდამო დალოცეს.

1946 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ ვერის განაპირას, ყიზლარის (დღევანდელი გალის) ქუჩაზე, სახლის მშენებლობა წამოიწყო. მას ხელისუფლებამ გამოუყო მიწის ნაკვეთი, მთის ფერდობში, ოღრო-ჩოღრო ადგილი კონსტანტინემ და მისმა ძმისწულმა სვიმონ გამსახურდიამ პირველად ერთად დაათვალიერეს.

სვიმონს ადგილი არ მოეწონა. ბიძა არ დაეთანხმა, ალბათ იმიტომ, რომ აქვე ხუთასიოდე მეტრში, ვერის ძველ სასაფლაოზე დედის სამარე ეგულებოდა.

მშენებლობის პროექტი შეადგინა ინჟინერმა ფრიდონ გუჯეჯიანმა. ნავარაუდევ კოშკსა და ოთხ ოთახს მან კიდევ ორი ოთახი მიუმატა. ეზოს ქონგურებიანი აგურის კედელი შემოავლო. რომლის ნაწილი შემდგომ დაიქცა.

სახლს, რომელსაც მწერალმა „კოლხური კოშკი“ უწოდა, გერმანელი ტყვეები აშენებდნენ. მშენებლობა გაჭიანურდა, წლების მანძილზე გაგრძელდა, მაგრამ ძირითადი ნაწილი 1947 წელს დასრულდა. ხოლო კეთილმოწყობა დიდ ხანს ვერ შეძლო და ამიტომ აქ საკმაოდ გვიან – 1957 წელს გადმოვიდა.

მანამ, 1950 წლიდან ცხოვრობდა გრიბოედოვის ქუჩაზე №21-ში, რომელიც ამჟამად მის უფროს ქალიშვილს ნათელას უკავია.



მარტვილი და ალავედარი

მე, ვისაც ნაკლებად მინახავს კონსტანტინე გამსახურდია, ნაკლებად მომისმენია მისი ხმა და უფრო მოგონებებით, მისივე წიგნებით, სურათებით მყავს წარმოსახული, ხშირად მახსენდება ერთი ბოლოდროინდელი ფოტო. დაღლილი მოხუცი სევდაჩამდგარი თვალებით გაჰყურებს შორეთს, ასე მგონია, არა მთების კაბადონს ან ჟანგისფერ ციხეს, არამედ ცის დასალიერს; არა მას, რაც იყო და არის, არამედ იმას, რაც იქნება, ხვალ, ზევ, ასეული წლების შემდეგ...

ასე რჩება ერის შემეცნებაშიც მითებით, ლეგენდებით, ისტორიით, თანამედროვე პეროიზმით და ტვირთული მწერლის სიტყვა – უშორესი დროიდან მომავლის სანიშნობისაკენ დაძრული, უკეთეს დღეთა მახარობელი.

მის ბუნებაში რელიგიური ფანატიზმის ძალით მეტყველებდა სამშობლოს კულტი, სუნთქვასა და გულის ძველსავით განუყრელი. მთელი სიცოცხლე სევდით აღვსილი შეჰყურებდა უძველეს ეტრატებს, დაბზარულ, მაგრამ შეუმუსვრელ ციხეებსა და ტაძრებს, მათ კედლებზე შერჩენილ წმინდანთა გაცრეცილ ფრესკებს, ქართლისათვის წამებულთა ლანდებს.

შემდეგ თავადაც მათ რიცხვს მიემატა, როგორც მარტვილი. ამიტომ გუგუნებდნენ ქაშუეთის ზარები, როცა ხალხის ზღვა, ივლისის მზე და სმარაგდისფერი ზეცა უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ მის ცხედარს.

მაგრამ იგი მხოლოდ მარტვილი როდი ყოფილა, ძველ წიგნებზე თავდახრილი, ცხოვრების დღევას განრიდებული, ან მარტოოდენ დღევის მონაწილე. იგი ალამდარი იყო, მარად ქართული ოცნების სიტყვაში გამცხადებელი, ქართველი კაცის ვნებათა და ფიქრთა მხატვარი, იმ უთქმელის გამომთქმელი, რაც მშობლიური ენის შთასახვის მისტერიაში ჩაიკირა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერიდან ათასი წლის შემდეგ ქართველურ ენათა და კილოკავთა, საქართველოს კუთხეთა, ქართველის ფსიქიკისა და ხასიათის, ქართული ცნობიერებისა და ყოფიერების კიდევ ერთხელ შემომკრები და დამდგენი, როგორც ნაციონალური არსებობის წმინდა ფუნდამენტის შემქმნელი, ხოლო სვეტიცხოველი – ამ ერთობის სიმბოლო.

როგორც ოდესღაც, ქართველ რაინდს მიჯნური

ნესტანის თუ თინათინის სახედ ელანდებოდა, ან კიდევ – ზღაპრულ კოშკში ჩაკეტილი ასული მოელოდა თავის ტარიელს, ისე ახალი დროის ქალ-ვაჟებმა თამარისა და თარაშის სახელები ოცნებისა და იდუმალების სამოსელში გახვიეს.

უტილიტარული დროის შეყვარებულ ქალთათვის, როგორც ნოსტალგია დაკარგულზე, როგორც მონატრება, უფროს თარაშ ემხვარის სახელი და ჯინსებიან ჭაბუკებში ცხადდება მისი სევდით გაფითრებული სახე.

ხოლო სმოგით, სტრესებით, ალკოჰოლით, აჩქარებული დროის რიტმით დაქანცული თუ აგზნებული ვაჟები ბიბლიოთეკებში, პლიაჟებზე, მთებში, ქალაქის ქუჩებში ეძებენ ცისფერთვალა, ქერათმიან თამარ შარვაშიძეს, ბედთან შეურიგალ შორენა კოლონკელიძეს, ვის თვალეშიც ლაზისტანის ზღვის სილურჯე ანათებდა.

მწერლის სიტყვამ არა მხოლოდ დაიმორჩილა და შეცვალა სხვადასხვა თაობის და ასაკის მოქალაქეთა განცდა და ხედვის მიმართულება, არამედ ლიტერატურული აზრის მდინარეც განსაზღვრა. დღეს, როცა ტოტალური ინფორმაცია გვაწვება, დიდი ხელოვანი მხოლოდ მცირე ხანს შეიძლება იყოს პროცესის დირიჟორი. მისი ზეგავლენაც უფრო ირიბია, ვიდრე პირდაპირი.

და მაინც, თანამედროვე ქართული პროზის ღირსი ნაკადი, მიბრუნება მითებისაკენ, მთარგმნელთა ძველქართული ლექსიკით შეფერილი სტილი, ინტელექტუალური პრობლემატიკა, პათეტიკა და მეტაფორული აზროვნება პოეზიაში შთაგონებულია, პირველ ყოვლისა, კონსტანტინე გამსახურდიას სამყაროთი, მისი დაფნის ფოთლებივით ხასხასა და შრიალა სტრიქონებით.

„მთვარის მოტაცების“ ავტორმა მოიტანა ქართულ პროზაში ზღვის მოტივი, ცისფერის ემბლემა. მანამდე თითქოს არავის გახსენებია, რომ საქართველოს დასავლეთს საზღვრავს შავი ზღვა – ექვსინის პონტი. ლურჯი ფერი რომანტიკული სიშორისა და უსაზღვროების ძახილია, ევროპული პოეზიის მიერ აღმოჩენილი.

ლაზისტანის ზღვის გუგუნი ჩაგვესმის ყურში, როცა გადავშლით მწერლის წიგნებს, მისი ტალღები ესხურება ჩვენს ფიქრებს, იდუმალი და გულისშემძვრელი. ზღვა და ცა ერთმანეთს უერთდება და პე-

რონაჟთა თვალთა ფერად ირეკლება.

ამიტომ ზღვისფრად ასხივებენ ისინი ველ-მიდამოს, როგორც ყოველ გაზაფხულს ქვესკნელიდან ამოსული ჭაბუკი ღმერთი დიონისო.

ხოლო ისტორიული პროზის კითხვისას იღვიძებს სულში მიძინებული სისხლის წყურვილი. ცხენთა თქარათქური, შუბთა და მახვილთა ძვრება, დაგზნებული ცეცხლი, დაღვრილი სისხლი, უტეხი სულისა და ძალის რაინდები, მზის მხურვალეებით ავსილი და კოლხური ღამის იდუმალებით მოცული სტილი აშიშვლებენ პირველყოფილ, ატივისტურ ვნებებს და წიგნებზე თავდახრილ წყნარ მეოცნებესაც ომის ხანძარი წაეკიდება, ომის ფსიქოზი გადაედება, როგორც დღევა და ჟრუანტელი.

ილია ჭავჭავაძის დარად, კონსტანტინე გამსახურდია მეტია ქართველისათვის, ვიდრე მწერალი. ძველი საქართველო ჩვენს შემეცნებაში არსებობს კონსტანტინე გამსახურდიას რომანებით. მან ისეთი ძალით, ინტიმითა და კოლორიტით აღადგინა მისი ხატება, რომ სხვაგვარი წარმოდგენა ან გააზრება თითქოს აღარც შეიძლება.

ხომ ბევრს მოგზაურობენ, ოდესევის დარად, კონსტანტინე სავარსამიძე და კონსტანტინე არსაკიძე, თარაშ ემხვარი და ვახტანგ კორინთელი, ფარსმანი და მახარა, გიორგი I და დავით IV, მაგრამ ისინი უფრო მეტად თავიანთ ფიქრსა და ოცნებაში ხეტილობენ.

ეს ფიქრი და ოცნება კი მოიცავს დღევანდელ დღეს, გარდასულ ხანას, სულისა და ისტორიის უშორეს პლასტებს და ყველა დროის ქართველის თანამდევია.

ასე იქცევა პოეტური ილუზია რეალობად, კონკრეტული სივრცე-დროის გაგრძელებად.

წიგნები რჩებიან, წიგნებს გადააქვთ ადამიანის სუნთქვა და გულისძვერა თაობიდან თაობაში, გამხმარ ფურცლებზე აღბეჭდილ სულის იეროვლიფებს. მოვლენ ჭაბუკები და ქალიშვილები, რომელთაც არც არასოდეს უნახავთ იგი, არ მოუსმენიათ მისი საუბარი, მაგრამ მათ ფიქრებს მუდამ ეხლება შარვაშიძის ასულის სევდა, თარაშ ემხვარის განწირული ყიჟინა, მკლავმოკვეთილი, მორიელებისაგან დაგესლილი არსაკიძის ავონია და დავითის შემზარავი მოლანდება-ტაოსკარს მოადგენო თურქნი!

სოსო სიმუხ, პროფესორი

ექვლიან გზაზე

მოკვნილი გმირი - მერაბ კოსტავა



... რა სიბილი ჰქონდა მერაბ კოსტავას? რატომ უყვარდა ქართველ ხალხს ასეთი გზენ-
ბით, რატომ ვცემდით თავყვანს, მოკრძალებას და პატივისცემას სიცოცხლეშივე რატომ იწვე-
ვდა? რად იყო ლეგენდარული ცოცხალთა შორის?! - იმიტომ, რომ ეროვნული გმირის ყველა
თვისებები იყო შემკული, - ქართველი ეროვნული გმირისა!

ქაქუცა ხოლოცაშვილის შემდეგ ეროვნული გმირი ჩვენ არ გვყოლია. გამოჩნდა ყმაწვილი,
ვინც სკოლის მერხიდანვე ააფრიალა თავისუფლების დროშა, დაბადებით, ბუნებით, მოწო-
დებით აღმოჩნდა გმირი, წინამძღოლად, მეთაურად, სარდლად გაეჩინა განგებას. გარეგნო-
ბაც ჰქონდა გამორჩეული - წარმოსადგევი, ახოვანი, ძლიერი, სული მტკიცე, შეუღრეკელი,
ხავერდოვანი ლამაზი ხმაც თითქოს ამ სულიდან მომდინარე...

ყველაფერი შესწირა სამშობლოს: ახალგაზრდობა, პირადი ცხოვრება, ოჯახი, შვილიც
კი და, ბოლოს, საკუთარი სიცოცხლეც...

მერაბ კოსტავას და მისი მეგობრების დამსახურება განუზომელია ქართული ეროვნული
მოძრაობის განახლებასა და გამოღვივებაში, მათ შეუძლებელი შეძლეს.

... მერაბ კოსტავამ მრავალი წელი დაჰყო ციხეში, მრავალი - გადასახლებაში. იცხო-
ვრა კატორღული ცხოვრებით აქაც, თბილისშიც, და იქაც, ციმბირშიც. გაუტყეველი დაბრუნ-
და, ზნეობრივად გამარჯვებული დაბრუნდა, გმირი დაბრუნდა. თავისუფლების დროშა
ერთხელ მაღლაატაცებულ იძის არ დაუშვა და ეროვნული მოძრაობა არნახულ ახალ სი-
მაღლეზე აიყვანა.

1988 წელს და 1989 წლის აპრილის ამბებს - საქართველოს ისტორიის ოქროს ფურცლებს,
მერაბ კოსტავას და მის მეგობრებს უნდა ვუმაღლოდეთ. ცხრა აპრილის იმ მისტიკურ და-
მეს ხომ მერაბ კოსტავამ მოლიანად გამოავლინა თავისი შინაგანი ძალა. იმ საღამოს ის იყო
უშიში, ვითა უხორცო, დინჯი და აუჩქარებელიც. რაც მთავარია, ტრიბუნაზე იდგა იმედი,
ხალხი მას შესცქეროდა იმედის თვალით, წაგვიძვებდა და გაგვამარჯვებინებდა. როცა გა-
ჭირდა, ტანკების გრილ-გრილი გაისმა, შედგა ტრიბუნაზე მისებურად, ძლიერად, მკვი-
ჭირდა, ტანკების გრილ-გრილი გაისმა, შედგა ტრიბუნაზე მისებურად, ძლიერად, მკვი-

დრად და შეშინებულ ქართველობას იმედიანი „შავლეგო“ უძღვრა, თვითონაც იმ შავლეგოს ჰგავდა, - მართლა სისხლით დაფერილი ჩოხა
თუ ეცვა, მაგრად იდგა ფეხზე, მეგაფონიც მაგრად ჩაებლუჯა, „შავლეგოს“ ისე აგუგუნებდა, თითქოს შემოსეული ოკუპანტები ამ სიმღე-
რით უკან უნდა გააბრუნოსო. იმ საღამოს „შავლეგო“ მან ჰიზნადა აქცია, დღესაც მღერის მას ახალგაზრდები.

მერაბ კოსტავა იმითაც იყო მშვენიერი, რომ ქართველი ეროვნული გმირის ყველა თვისება გააჩნდა. ცოტნე დადიანს ერთი ადამიანიც კი
არ მოუკლავს, მაგრამ გამოიჩინა გასაოცარი ქველბობა, მოყვასისათვის გასწირა თავი. ეს თვისება, - ავთანდილობა ამშვენებს ყველა ქა-
რთველ ეროვნულ გმირს, მერაბ კოსტავაც შემკობილი იყო ამ თვისებით.

სიკვდილი ყოველთვის არ არის სიკვდილი. ზოგჯერ ის გვირგვინია. მერაბ კოსტავას ტანჯულ ცხოვრებას სიკვდილმა დაადგა შარავა-
ნდელი, დაუღუწა ხორცი და ძვალი და აღუხევა სული. სულის უკვდავების სჯეროდა მერაბს, ამიტომ უსათუოდ ამოვა კიდეც ერთი „ვა-
რსკეულავი მოტყინარე“ თბილისის ცაზე და დაადგება მთაწმინდას. ეს იქნება ჩვენი ეროვნული გმირის წამებული სული.

ნოდარ წულეისკირი

„შავლეგო“ - გამომცემლობა - „ხელოვნება“. 1990 წ. (იბეჭდება შემოკლებით)

ალმერთებზე საქართველოს

დაიხსოვებოდა ქართველმა:
დაეძრათ რაც ანთოვოს,
შენც ის დაეძმართება,
თუ მოსწყდები საქართველოს.
როგორც მერაბ კოსტავას,
თუ მამულზე ჯვარი გზრდიდა,
არ გემძიმოს ოდნავაც
უძძიმესი ჯვარის ზიგვა.
ძვირად რეკვე გლოვის ზარს,
რადგან მავანს უხარია
და ზეიძობს, როდესაც
საქართველო მწუხარება.
გაგეგაფოს გზა მრწამსით,
სინამ გაიტანდეს ლელოს,
მერაბ კოსტავასავით
მხრებში გამართული გველოს.
მისი სახე ყელმაღალ
ბაღღებს მკერდზე ჩამოჰკიდე
სულში ვისაც ესახლა
ჯვარცმით გატანჯული ქრისტე.
სხვისას არ შენატროდე
არც დიდებას, არც პანთეონს,
ქართულად ეპატრონე
დროშებდახრილ საქართველოს.
რაც თქვე, აღარ გადათქვა,
ტყავი განიახლე ვეფხვის,
სხვას არ ანდო გარდაქმნა
„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნის.
ევალობოთ „ოსანა“,
გამარჯვებით სადაც გველოს,
როგორც მერაბ კოსტავა -
აღმერთებზე საქართველოს.

ოთარ ჭელიძე

დიდი გამუდმებული, დიდი მეცნიერი ნიკო ჭავჭავაძე

ქართული ფილოსოფიური მეცნიერების ღირსეული წარმო-
მადგენელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსო-
ფიის ინსტიტუტის დირექტორი - 1967 წლიდან, ხოლო 1979
წლიდან - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კო-
რესპონდენტი, დიდი გვარის დიდი წარმომადგენელი, გამორჩე-
ული საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო მეცნიერი, უშიშარი მო-
ქალაქე, ერთაშორის მეგობრობის დაუღალავი ქომაგი - ბატონი
ნიკო (ნიკოლოზ) ზურაბის ძე ჭავჭავაძე, დაიბადა 1923 წლის 5
მაისს ყვარულში.

უძძიმესი ბავშვობა ჰქონდა, ბატონ ნიკოს. მამამისი, თავადი
ზურაბ ჭავჭავაძე, 1924 წელს დააპატიმრეს ქაქუცა ხოლოცაშვი-
ლთან მეგობრობის გამო. პატარა ნიკო, დედამისთან ერთად ყვა-
რლიდან გაასახლეს და მთელი ზაფხული ტყეში, ნასაყდრალში
ცხოვრობდნენ. დედა მასწავლებელი იყო, მთელი ყვარული პა-
ტივს სცემდა და დედა-შვილს ჩუმად უზიდავდნენ საჭმელ-სა-
ტივს, ახალმოსულმა კომისარმა დედას და შვილს ყვარულში
დაბრუნების ნება მისცა, ბევრჯერ მოსთხოვეს დედას - შენ და
შენმა ვაჟმა გვარი გამოიცვალეთო, მაგრამ იგი არ დათანხმდა.
მალე მამა გაათავისუფლეს, მაგრამ 1929 წ. ისევ დაიჭირეს და
მეტეხის ციხეში ჩასვეს, იქიდან კი ურალში გადასახლეს, სა-
დაც დაიღუპა კიდეც 36 წლის ასაკში. (ჩემი ზურაბიც 36 წლისა
წავიდა ამ ქვეყნიდან. ბედისწერა იყო? - ნ. ჭავჭავაძის საუბარი
დ. ჩიკვაძისთან. „ქართული კულტურა“ - 1992 წელი, №20).
ოჯახმა თბილისში, დღევანდელ უსნაძის ქუჩაზე, ერთ უფანჯრო
ოთახში დაილო ბინა. სკოლის დამთავრების შემდეგ ნ. ჭავჭა-
ვაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის
ფაკულტეტის პირველ კურსზე ჩაირიცხა. იმავე წელს ომი და-
იწყო, და მან ფრონტზე წასვლა მოითხოვა. 1944 წლის სექტე-
მბერში ცაბეტ ჭრილობა მიღებული ნიკო ჭავჭავაძე სამხედრო
სამსახურიდან გაათავისუფლეს.

1945 წლიდან 1949 წლამდე ნიკო ჭავჭავაძე სწავლობდა თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1949 წელს მუშაობა და-
იწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის
ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1967 წლიდან
ამავე ინსტიტუტის დირექტორია, ხოლო 1979 წლიდან საქა-
რთველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი ფილოსოფია მთელს კავშირში
იდევნებოდა, ნიკო ჭავჭავაძემ, სხვა ქართველ ფილოსოფოსე-
ბთან (შალვა ნუცუბიძე, ანჯა ბოჭორიშვილი, დიმიტრი უსნაძე,
სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე, კიტა მეგრელაძე) ერთად, შე-
ინარჩუნა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ფილოსოფი-

ური, კერძოდ კი ესთეტიკური სკოლა.
ესთეტიკური აზროვნების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრო-
ბლემები, როგორცაა ხელოვნების არსი, ესთეტიკური საგნის
ბუნება, სწორედ ნიკო ჭავჭავაძის შრომებში პოულობს სათა-
ნადო მეცნიერულ გაშუქებას. სწორედ მისი ხელმძღვანელობით
ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილო-
სოფიის ინსტიტუტში მუშაობის სტრატეგიული ხაზი - ადამი-
ანი - კულტურა - ღირებულებანი.

იგი იყო ბევრი კონგრესის, კონფერენციის, სესიის თუ დი-
სკუსიის ორგანიზატორიც და ერთ-ერთი მთავარი მონაწილაც,
საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების თავმჯდომარე,
ჟურნალ „მაცნე“ რედაქტორი, მრავალი სარედაქციო კოლე-
გიისა თუ სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ისიც სათქმელია, რომ როგორც მისი მეცნიერული შრომე-
ბისათვის, ისე მეცნიერული თუ პოლიტიკური განსჯისთვის ძი-
რითადი დამახასიათებელი იყო ურთულესი აზრის ნათლად გა-
მოთქმა. სწორედ ამიტომ მისი ყოველთვის ესმოდათ არამართო
სპეციულისტებს, არამედ არასპეციულისტებსაც და თუ ფილო-
სოფიისთვის უმთავრესი სულიერი, ზნეობრივი და აზრობრივი
სინათლე და სიმართლეა, ამ მოთხოვნებს ბატონი ნიკო თავისი
შრომითა და მოღვაწეობით ზუსტად უპასუხებდა.

დღევანდელ ქართველ ესთეტიკოსთა (და არა მხოლოდ ესთე-
ტიკოსთა) რამოდენიმე თაობა ნიკო ჭავჭავაძის დამოძღვრელია.
მის საქვეყნოდ ცნობილ წიგნებზე დღესაც იზრდება ჩვენი სტუ-
დენტობა.

ბატონი ნიკო არასოდეს ყოფილა კაბინეტში ჩაკეტილი მე-
ცნიერი, მხოლოდ ფიქრსა და ჭკერებში დანთქმული ფილოსო-
ფოსი; ცხოვრების შუაგულში მდგომი კაცი იყო მუდამ - ჯერ
როგორც ქართული ფილოსოფიური სკოლის ყველაზე პროგრე-
სულ მიმდინარეობათა გადარჩენისათვის თავგამოდებული მე-
ბრძოლი, საქართველოში „ზნეობრივი რევოლუციის“ პრინცი-
პების ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი, ხოლო შემდეგ - მნიშვნე-
ლოვანი პოლიტიკური მოღვაწეც, სახელმწიფო საბჭოსა და პა-
რლამენტის წევრი, პარლამენტის აფხაზეთის კომისიის თა-
ვმჯდომარე... მან უნიკალური როლი შეასრულა ქართველთა
და აფხაზთა, ქართველთა და ოსთა შერიგების ისტორიული პრო-
ცესის დაწყებაში.

სიბრძნის, სიკეთის, სიმშვიდის, სიყვარულის განსახიერება
იყო და სწორედ ამიტომ შესძლო დაპირისპირებულ მხარეებთან
მშვიდი, არგუმენტირებული საუბარი. შინაგანად სამართლიანსა
და მიუკერძოებელს ეტყობა, სწორედ ამიტომ გულდასმით და

დაჯერებულად
უგდებდნენ ყურს
ოსებიც და აფხაზე-
ბიც, ქართველებიც
და რუსებიც... მისი
ტყვას დიდი ფასი და
გავლენა ჰქონდა.

ცხოვრებასა და
მეცნიერებაში ნიკო
ჭავჭავაძეს ეკლიანი
გზით სიარულმა მო-
უწია, ბედს იგი არა-
სოდეს გაუნებოვრე-
ბია. ბავშვობა, მამის,
- ზურაბ ჭავჭავაძის
გადასახლება და იქ
უდროოდ, 36 წლის

ასაკში დაღუპვამ გაუმწარა - ხოლო ჭარბაობა - შვილის, ერო-
ვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის, ზურაბ ჭა-
ვჭავაძის (1989 წლის შემადრწუნებელი ავტოავარია - დაიღუ-
პნენ საქართველოს ეროვნული გმირი - მერაბ კოსტავა, და მისი
თანამოაზრე და თანამებრძოლი, ღირსეული მამის ღირსეული
შვილი ზურაბ ჭავჭავაძე) ტრაგიკულმა დაღუპვამ - შვილი ზუ-
რაბიც 36 წლისა იყო. და სწორედ ესაა საგულისხმო, რომ კაცი,
რომელმაც ასეთი რთული გზა გამოიარა დამკვიდრდა მოქალა-
ქედ, მოვალეობის უაღრესად გამახვილებული გრძნობით, ჭეშმა-
რიტ ჰუმანისტად, (ბატონმა ნიკომ ერთ-ერთმა პირველმა მო-
კაცობრივ იდეალებს მქადაგებლად და ერთ-ერთ დამცველად.

- ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ - ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკო-
სმა - ჩამოაყალიბა ქართული საერთაშორისო ცენტრი - „თა-
ვისუფალი საზოგადოება“, რომელიც დღეს მისი სახელობისაა
და პრეზიდენტი გახლავთ ბატონი ნიკო ქალიშვილი - ფსიქო-
ლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი - ნინო ჭავჭავაძე. ქალბატონ
ნინოს გახეთ „ვერისუბნის“ რედაქცია უღრმეს მაღლობას უხდის
უნაგაროდ მოწოდებული საინტერესო მასალებისთვის და უსუ-
რვებს წარმატებებს, მისი სახელოვანი მამის ნიკო ჭავჭავაძის
დაწყებული მეცნიერული და ეროვნული საქმის ღირსეულად გა-
გრძელებაში.

ნარბიზ ნადირაძე

თანამედროვე ქართული მანდაკების მამა

იაკობ ნიკოლაძე ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ხელოვანია.

მან განსაკუთრებული მისია შეასრულა ეროვნული მხატვრული კულტურის ისტორიაში. სახელდობრ, ცხრაასიან-ცხრაასათიან წლებში აღადგინა ქართული ქანდაკების დიდი ხნით შეწყვეტილი განვითარება, აამაღლა იგი ეპოქის, მშობლიური ხალხის შემოქმედებითი ცხოვრების უმაღლეს მონაპოვართა დონემდე და დაამკვიდრა სახვითი ხელოვნების ამ დარგის ყველა სახეობა, ჟანრი, ტექნიკური სიახლე. ეს დიდმნიშვნელოვანი გარდატეხა იაკობ ნიკოლაძემ მარტომარტომ მოახდინა. ამიტომ ახალი ქართული ქანდაკება — ეს მხოლოდ იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებაა.

იაკობ ნიკოლაძე, როგორც ქართული ქანდაკების ფუძემდებელი და უდიდესი ოსტატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხოლო აკადემიაში — ქანდაკების სწავლების ორგანიზატორი და შეუცვლელი ხელმძღვანელია სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მას სამართლიანად უწოდებენ თანამედროვე ქართული ქანდაკების მამას და პორტრეტული ქანდაკების ერთ-ერთ უშესანიშნავეს ხელოვანს.

იაკობ ნიკოლაძე ათეული წლების განმავლობაში ებრძოდა თიხასა და ბრინჯაოს, მარმარილოსა და ჩვეულებრივი ველური ქვის ლოდ-



ბის მღუმარებას. მათში იგი ამეტყველებდა სიცოცხლეს, მაღალ გრძობებს, დიდ იდეებს, შემოქმედებით სიღამაზე; უმღეროდა საქართველომ და მის ღირსეულ შვილებს და ამ სიმღერამ დიდი ხელოვანის უკვე დამთავრებული ცხოვრება უკვდავებად აქცია: ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის შესანიშნავ შვილს — მგზნებარე პატრიოტს, დიდი მასშტაბის ჭეშმარიტ შემოქმედს, პლასტიკური ფორმისა და მხატვრული სიმართლის დაუცხრომელ მაძიებელს, მეოცე საუკუნის ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ბურჯსა და მშვენიერს.

იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძე დაიბადა 1876 წლის 16 მაისს ქ. ქუთაისში. იგი იყო ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ბიძაშვილი.

ოთხი წლის იაკობი მამით დაობლდა და დედა — ნატალიამ განსაკუთრებული ამაგი დასლო პატარა იაკობის აღზრდას.

ი. ნიკოლაძე 1884 წელს შედის ქუთაისის ეგრეთწოდებულ მოსამზადებელ სასწავლებელში, 1886 წელს იგი ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე ხდება, ერთი წლის შემდეგ კი, უფროს მძას მათეს თავისთან გადაჰყავს (მათეს ბათუმში გახსნილი ჰქონდა ფიგნის მაღაზია). აქ 11-12 წლის იაკობი მძას ეხმარებოდა მაღაზიაში და თან გატაცებით ეცნობოდა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს.

1889 წელს იაკობი, ძმის რჩევით, ბათუმის ტექნიკურ სასწავლებელში შედის, სადაც განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს ხატვაში. ეს წარმატება დიდად აძლიერებს მომავალ ხელოვანში ინტერესსა და სიყვარულს სახვითი ხელოვნებისადმი, კერძოდ, ხატვისა და ფერწერისადმი, შთანერვდის ჯერ კიდევ ქუთაისში მეორე უფროსი ძმის, მხატვრობის მოყვარულის, ვასილის გავლენით.

1891 წელს ი. ნიკოლაძე ამთავრებს ბათუმის სახელოსნო სასწავლებელს. იგი ახლა უკვე იმდენად გაწაფულია ხატვაში, რომ რამდენიმე პორტრეტის ავტორიც კი არის. იაკობი მოსკოვს მიემგზავრება მხატვრული განათლების მისაღე-

ბად, სადაც მეცადინეობას იწყებს გრაფ სტროგანოვის ტექნიკური ხატვის სასწავლებელში (1892), მოსკოვში სამი წლის განმავლობაში მეცადინეობდა ი. ნიკოლაძე. შემდეგ ოდესის სამხატვრო სასწავლებელში აგრძელებს სწავლას, სადაც მეცადინეობას იწყებს ფერწერაში.

მოგვიანებით ი. ნიკოლაძე ოდესაში გაიცნობს ქანდაკების კლასის მოწაფეს, ყოფილ მეზღვაურს სერაფიმ პოლოფიკაშვილს, რომლის დაჟინებით რჩევით ქანდაკების კლასში გადადის და პროფესორ ლ. იორინის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული მონდობებით ეუფლება ძერწვის ხელოვნების „პირველ საიდუმლოებას“.


აქ მისი წარმატებანი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ერთი წლის შემდეგ ქუთაისში ბრუნდება და დამოუკიდებლად იწყებს მუშაობას. სახელდობრ (1896-1897 წლებში შექმნა „მესხი-შვილი ტარტიუფის როლი“ (ესკიზი, თიხა) „მოხუცი ებრაელი“ (ეტუდი, თიხა), შოთა რუსთაველის პორტრეტი (ესკიზი, თიხა) „მ. რუსთაველი“ (ფიგურა, თაბაშირი) და მესხიშვილის პორტრეტი (თაბაშირი).

ი. ნიკოლაძის ამ პირველი ნაწარმოებებიდან შ. რუსთაველის ფიგურა პირველი ქანდაკებაა, შექმნილი ქართველი ხელოვანის მიერ, რომელსაც წილად ხვდა გამოფენაზე წარმოდგენა, (ექსპონირებული იყო თბილისში, სურათების გალერეაში, კავკასიელ მხატვართა მეზუთე გამოფენაზე) როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა მაშინდელმა პრესამ, იგი შესრულების მხატვრული სიღრმითა და საერთო ხასიათით გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო დამწვები მოქანდაკისაგან.

ახალგაზრდა მოქანდაკე 1897-1898 სასწავლო წელს კვლავ ოდესის სამხატვრო სასწავლებელში აგრძელებს მეცადინეობას, სადაც უმთავრესად კლასიკური ნაწარმოებების პირებს ძერწავს. აქვე მას შეუქმნია ესკიზი — „მესტიური“. შემდეგ კვლავ ქუთაისში მუშაობს, ხოლო 1899 წლის სექტემბერში მიემგზავრება პარიზს. აქ იგი შედის კანზულის (სახვითი) ხელოვნების სკოლაში, სადაც ი. ნიკოლაძე განსაკუთრებული მონდობებით მეცადინეობდა ქანდაკებაში, პირველად პროფესორ ა. ფალიგერის სახელოსნოში, ხოლო ა. ფალიგერის გარდაცვალების შემდეგ (1900 წ.) პროფესორ ან. მერსიეს სახელოსნოში, ამავე დროს იგი სწავლობდა მასალაში მუშაობასაც პროფესორ მანგლისთან.

ი. ნიკოლაძე პარიზში ბევრს მუშაობდა დამოუკიდებლადაც თავის „პირველ და პატარა“ ატელიეში. ამასთან, იგი არ ივიწყებდა ფერწერასაც. სამწუხაროდ მოქანდაკის ამ პერიოდის საკულტურო ნამუშევრებიდან ცნობილია მხოლოდ ერთი ესკიზი „მოხუცი ხევსური“, ხოლო ფერწერიდან ორი ეტიუდი — პეიზაჟი (სამივე დაცულია მოქანდაკის სახლმუზეუმში).

1901 წელს ი. ნიკოლაძე ტოვებს პარიზის სკოლას და ჩამოდის სამშობლოში, აქ იგი 1902 წლის ცნობილი საიუბილეო გამოფენის ერთ-ერთი პაველიონისათვის ქმნის ორ დიდ, ოთხმეტრიან დეკორატიულ ბარელიეფს, აგრეთვე მონაწილეობს გამოფენის სამხატვრო ნაწილში რამდენიმე ნაწარმოებით; რომლებიც ვერცხლის დიდი მდელით დაჯილდოვდა. შემდეგ



იაკობ ნიკოლაძე

კვლავ აგრძელებს ი. ნიკოლაძე თბილისში მუშაობას და ქმნის საქართველოში ცნობილი მწერლების და მსახიობების პორტრეტებს (თაბაშირის მასალით). ამ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში კიდევ უფრო იხვეწება ი. ნიკოლაძის შემოქმედებითი კრედი (მხატვრული მეთოდი) და ინდივიდუალობა, ახლა საკვებით ნათელი გახდა, რომ მოქანდაკის ფორმირების პროცესი ემყარებოდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების და აგრეთვე მსოფლიო ხელოვნების კლასიკური რეალისტური ტრადიციების ათვისებას. ყოველივე ამის მიუხედავად, ნამდვილი იაკობ ნიკო-

ლაძე არსებითად ჯერ კიდევ საკუთარი თავის ძიების პროცესში იყო.

1904 წლის ზაფხულში ახალგაზრდა მოქანდაკე ისევ ტოვებს სამშობლოს — მიემგზავრება ფლორენციაში, სადაც დაახლოებით შეიძინა განმავლობაში სწავლობს რენესანსის ეპოქის შესანიშნავ ძეგლებს, რომლითაც ძლიერ მოხიბული ახალგაზრდა ხელოვანის სული და გული მაინც მშობლიური ქვეყნის ცხოვრებასა და ისტორიასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ, რომ ერთადერთი ნაწარმოები, რომელსაც ქმნის ი. ნიკოლაძე, ეს იყო თამარ მეფის პორტრეტი ესკიზი (ამჟამად დაცული).

1905 წელს, დაახლოებით თებერვალში, ი. ნიკოლაძე ფლორენციიდან პარიზს მიემგზავრება. 1906 წლის შემოდგომიდან კი, პარიზში არსებულ ახალგაზრდა რუს მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარის ვ. ვ. გოლუბევის ოჯახის დახმარებით, მუშაობას იწყებს სახელგანთქმულ ფრანგ მოქანდაკე როდენტანს.

პარიზში ი. ნიკოლაძე ქმნის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, გამორჩეული გახლდათ შოთა რუსთაველის პორტრეტი (თაბაშირი), რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად გენიალური პოეტის სახის ძიების ერთ-ერთ პირველ საყურადღებო ცდას წარმოადგენს.

პირველი ნამუშევარი, რომელიც ი. ნიკოლაძემ შეასრულა როდენტანის დახმარებით, ეს იყო „იონანე ნათლისმცემლის თავის“ მარმარილოში გადატანა, რომელიც როდენტანს მიეწონა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კი მან ი. ნიკოლაძე თავის სახელოსნოში მიიწვია სამუშაოდ — „უგოლინოს“ კომპოზიციაზე, რომელიც დანტეს პოემით იყო შთაგონებული. როდენტანს მიეწონა უკვე აღნიშნული პორტრეტი იყო, რითაც დამთავრდა ი. ნიკოლაძის თანამშრომლობა როდენტანს.

ი. ნიკოლაძე წერს: „როდენტან ჩემი მუშაობის მიზანს შეადგენდა ათვისება ამ ხელოვანის შემოქმედებითი ოსტატობისა და არა მხოლოდ მხატვრული მისი...“

მრავალი ნაწარმოების ავტორი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე ამთავრებს თავის მოღვაწეობას აღსასრულამდე, — 1951 წლის 10 მარტს შეწყდა დიდი ქართველი ხელოვანის მავსიცემა.

12 მარტს, დღით ი. ნიკოლაძის ცხედარი გადასვენებული იქნა თბილისის სამხატვრო აკადემიის სააქტო დარბაზში, ხოლო 13 მარტს მოაწმინდის პანთეონმა იგი ილიას საფლავის მახლობლად მიაბარა სამუდამოდ.

„ჩვენი ქვეყნის დიდება და ბედნიერება —

აღნიშნავდა ი. ნიკოლაძე, — მუდამ ჩემი შთაგონების წყარო იყო“.

დიდი განცდილია და იდეებით ამეტყველებული პლასტიკური ფორმების რეალისტური სრულყოფისა და ჭეშმარიტი ეროვნულობის ძიება, ადამიანთა შინაგანი სამყაროსა და ინტერესთა ესთეტიკური შეცნობისადმი დაცხრომელი სწრაფვა, მკვეთრი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, სიღამაზისა და ჭეშმარიტების მთლიანობის ნათელი გაგება, კერძოდ იმის აღიარება, რომ „აქ რაღაც ერთი არსება არის ორპიროვანი“, რომელიც მხატვრული სიმართლის სახით იჩენს თავს. — აი, რა შეადგენდა მოქანდაკის შემოქმედებითი სტიქიის, მოწოდების ძირითად საფუძველს, სულსა და გულს. ამიტომ იგი, მიუხედავად ნატურის დიდი მნიშვნელობის აღიარებისა, სინამდვილეს ამაღლებული, პოეტური მხატვრული წარმოსახვის, რეალისტური განზოგადების ასპექტში ასახიერებდა და არა მონურად.

ი. ნიკოლაძის შემოქმედებითი ევოლუცია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჟანრული მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. ხელოვანი ქანდაკების ყველა ჟანრის ნაწარმოებით ამდიდრებდა ქართულ მხატვრულ კულტურას, რასაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ქართული ქანდაკების გამრავალფეროვნებისა და შემდგომი განვითარებისათვის, ოღონდ, როგორც ცნობილია, უწინარეს ყოვლისა, პორტრეტისტი იყო და ამ ჟანრში გამო-



ვლინდა მისი, როგორც ტალანტის, ისე ოსტატობის მთელი ბრწყინვალეობა, ისიც აღსანიშნავია, რომ ი. ნიკოლაძე არა მარტო დაზგური (მრგვალი) ქანდაკების, არამედ ბარელიეფის შესანიშნავი ოსტატიც იყო და ამ უკანასკნელის ფართოდ განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა როგორც ხელოვანიც და როგორც პედაგოგიც.

ი. ნიკოლაძის ხანგრძლივ შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XX საუკუნის ქართული მხატვრული კულტურის განვითარებაში. როგორც უკვე აღნიშნეთ, მოქანდაკე თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ხელოვანია, რომლის შემოქმედების მნიშვნელობა გარკვევით სცილდება ეროვნულ საზღვრებს. ქართული ხელოვნების ისტორია, ისე როგორც ყველა ერის ხელოვნებისა, დარგებისა და ჟანრების გარკვეული არათანაბარი განვითარებით ხასიათდება. ეს საერთო კანონია ხელოვნების ისტორიისა.

ი. ნიკოლაძე პირველი აღუდგა წინ ეროვნული ქანდაკების წლების მანძილზე დამკვიდრებულ უბედობას და მან არა მარტო აღადგინა იგი, რითაც გაამდიდრა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების პროცესი, არამედ ეპოქის მთელი ქართული მხატვრული კულტურის საუკეთესო მონაპოვართა დონემდეც აამაღლა.

ი. ნიკოლაძე ჩვენი საუკუნის ქართული კულტურის ის ერთ-ერთი უდიდესი ბურჯია, რომლის დიდება და უკვდავება საბოლოოდ დააკანონა დრომ.

და ეს საკვებით გასაგებიცაა, რადგან ვინც უკვდავ ნაწარმოებებს ქმნის, თვითონაც უკვდავია.

ვახუთ „ვერისუბნის“ სარედაქციო კოლეგია მასალის მოძიებაში გაწეული უანგარო დახმარებისათვის მადლობას მოახსენებს იაკობ ნიკოლაძის ღირსეული ტრადიციების დიხსნულ გამგრძელებელს შვილიშვილს, იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორს, მხატვარს, ბატონ გურამ ნიკოლაძეს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებასა და ბედნიერებას.

ქართველ ფერიათა დასის დედოფალი

ნინო გედევანის ასული ანანიაშვილი დაიბადა ქ. თბილისში, 1963 წლის 19 მარტს. დედა – ლია ივანეს ასული გოგოლაშვილი – ფილოლოგია, მამა – გედევან (ვახტანგ) დავითის ძე ანანიაშვილი – გეოლოგი.

1969-1972 წ.წ. ნინო თბილისის განათლების სამინისტროსთან არსებულ ყინულზე ფიგურული სრიალის სკოლის მოსწავლეა, აქ იგი ხდება საქართველოს ორგზის ჩემპიონი უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის. აქვე, საქ. რესპ. დამსახურებული არტისტის ა. დვალის ხელმძღვანელობით ეუფლება საბალეტო ხელოვნების ანბანს და მისივე დაფინანსებით თხოვნით ნინო ქ. თბილისის 53-ე სკოლიდან ვ. ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გადადის.

1973-76 წ.წ. იგი აღნიშნულ სასწავლებელში სწავლობს საქ. რესპ. დამსახურებული პედაგოგის თ. ვიხოდცეკას კლასში.

1977 წ. ნინო სასწავლებლად გადადის ქ. მოსკოვის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ აკადემიაში. აქ მისი პედაგოგია რუსეთის ფედერაციის დამსახურებული არტისტი ნ. ზოლოტოვა. 1981 წ. იგი წარჩინებით ამთავრებს ქორეოგრაფიის აკადემიას და იმავე წელს იწყებს რუსეთის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში, სადაც იგი დღესაც აგრძელებს მოღვაწეობას. მისი უცვლელი პედაგოგია სახელგანთქმული ბალერინა, ყოფილი სსრკ-ის სახალხო არტისტი რ. სტუჩკოვა – ლაფაური. ხოლო ცალკეულ პარტიებს კლასიკური რეპერტუარიდან ნინო ამზადებს საქვეყნოდ ცნობილ ბალერინასთან – მ. სემიონოვასთან.

ტიტულები და ჯილდოები:

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი (1988 წ.), რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი (1995 წ.);



საქართველოს რესპუბლიკის რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1992 წ.);
რუსეთის პრემიის „ტრიუმფის“ მფლობელი (1992 წ.).
მსოფლიოს პრესტიჟული 4 საერთაშორისო საბალეტო კონკურსების ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი:
1. ვარნა, 1980 წ. – ოქროს მედალი;
2. მოსკოვი, 1981 წ. –

„ბრან-პრი“;

3. მოსკოვი, 1985 წ. – ოქროს მედალი;

4. ჯეკსონი (აშშ), 1987 წ. – „ბრან-პრი“.

დღემდე ასეთი შემთხვევა მოსფლიო საბალეტო ხელოვნებაში ერთადერთია.

დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა 1989 წლიდან.

სხვადასხვა დროს ნინო იყო დიდი ბრიტანეთის სამეფო თეატრისა და დანიის სამეფო თეატრის მიწვეული პრიმა-ბალერინა.

ამჟამად იგი ამერიკის საბალეტო თეატრისა („მეტროპოლიტენ-ოპერა“) და რუსეთის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინად ითვლება.

ნინო პირველი და დღემდე ერთადერთი მოცეკვავეა, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მიიწვიეს „ნიუ-იორკ სიტი ბალეტში“ (ჯ. ბალანჩინის თეატრი), დიდი ბრიტანეთის სამეფო თეატრში („კონვენტ-გარდენი“) და დანიის სამეფო თეატრში, სადაც მან ადგილობრივ საბალეტო დასებთან ერთად შეასრულა მთავარი პარტიები ჯ. ბალანჩინის, ა. ბურნოვილის, ფ. ეშტონისა და კ. მაკმილანის კლასიკად ქვეულ საბალეტო სპექტაკლებში.

შექმნილი არაჩვეულებრივი ფილმები და ტელეფილმები ნინოს შესახებ. მისი მონაწილეობით, მაყურებელს გაეახსენებო რეჟისორ ლანა დოლობერიძის მხატვრულ ფილმს „აურზაური სალხინეთში“, გადაღებულია ფილმ-ბალეტში „ფასკუნჯი“, მ. ფოკინის მიხედვით. დამდგმელი რეჟისორი ა. ლიეპა. ფასკუნჯი – ნ. ანანიაშვილი, უფლისწული – ა. ლიეპა, 1993 წ.

გასტროლები

ქვეყნები, სადაც ნინო ანანიაშვილის გასტროლები გაიმართა: აშშ, კანადა, მექსიკა, არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია (ლა-სკალა), ესპანეთი, პორტუგალია, შვეიცარია, ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, პოლანდია, ბელგია, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, მონაკო, სამხარეთ კორეა, ტაივანი, ინდოეთი, ნეპალი, ფილიპინები, ესტონეთი, ლატვია, უკრაინა, ბელარუსია, რუსეთის მრავალი ქალაქი, საქართველო (თბილისი, ქუთაისი).



ნინო ანანიაშვილი

ნია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია (ლა-სკალა), ესპანეთი, პორტუგალია, შვეიცარია, ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, პოლანდია, ბელგია, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, მონაკო, სამხარეთ კორეა, ტაივანი, ინდოეთი, ნეპალი, ფილიპინები, ესტონეთი, ლატვია, უკრაინა, ბელარუსია, რუსეთის მრავალი ქალაქი, საქართველო (თბილისი, ქუთაისი).

ნინო ანანიაშვილის პარტნიორები: ა. ლიეპა, ნ. ფილოროვი, ვ. ანისიმოვი, მ. ტივინი, ხულო ბოკა, ა. ბაგატირევი, ი. მუხამუოვი, ლ. ნიკონოვი და სხვა.

რეპერტუარი

სპექტაკლი	პარტია	დამდგმელი ქორეოგრაფი
„გედის ტბა“	ადელა, ადილია	მ. ნოლმესი, კ. სერგეევი...
„მძინარე მზეთუნახავი“	ავრორა	კ. სერგეევი, ი. გრიგორევიჩი, ხ. ტომასენი, კ. მაკმილანი, ი. გრიგორევიჩი.
„რაიმონდა“	რაიმონდა	ი. გრიგორევიჩი, ნ. მაკაროვი.
„ბაიდერკა“	ნიკია	ი. გრიგორევიჩი, ნ. მაკაროვი.
„უიზელი“	უიზელი	ჟ. კორალი.
„კოპელია“	სვანილდა	ა. რადუნსკი.
„ფასკუნჯი“	ფასკუნჯი	მ. ფოკინი, ლ. ლავროვსკი.
„რომეო და ჯულიეტა“	ჯულიეტა	კ. მაკმილანი, ი. გრიგორევიჩი, ფ. ეშტონი, კ. მაკმილანი, ა. ბურნოვილი, ა. ბურნოვილი,
„ფიფია“	ფიფია	ფ. ეშტონი,
„მანონი“	მანონი	კ. მაკმილანი,
„სილფიდა“	სილფიდა	ა. ბურნოვილი,
„ნეაპოლა“	ტერეზინა	ა. ბურნოვილი,
„ზაფხულის დამის სიზმარი“	ტიტანია	რ. სანდი,
„მლადა“	მლადა	ა. პეტროვი

და ა. შ. (სულ 36 სპექტაკლია)

ნინოს ნაამბობიდან

„ცოტა ადრე რომ დავბადებულიყავი, დიდი სიამოვნებით ვიცეკვებდი ვახტანგ ჭაბუკიანთან“.

„ბებია რომ არა, ალბათ ვერაფერს მივალწევდი“.

„თბილისიდან ყოველთვის დიდი სიბზო და სიყვარული მიმეყება“.



„მიყვარს კითხვა, ხშირად განწყობილების მიხედვით, მაინტერესებს წმინდანების ცხოვრებაზე შექმნილი ლიტერატურა, ამჟამად წმინდა ნინოს ცხოვრებას ვეცნობი, მისი მადლითაა რომ ნინო შემარქვეს სახელად“...

„მაცვია ის, რაც მე და ჩემს მეუღლეს მოგვწონს, მას კარგი გემოვნება და სტილის შეგრძნება აქვს“.

„გამორჩეულად მიყვარს სუნამო „კოკო-შანელი““.

„მაკიაჟისათვის ვხმარობ იაპონელი შინდოს ნაწარმს“.

„მე შევეჩვიე მოუსვენარ ბოშურ ცხოვრებას“.

„თაყვანისმცემლებს ყოველთვის თრთოლვით ვეკიდები“.

მსოფლიო პრემიის გამომავალი:

„მაყურებელთა დარბაზი სავსე იყო. ყველამ თეატრში მოიყარა თავი, რათა ეხილათ „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ დებიუტანტები –

ნინო ანანიაშვილი და ანდრის ლიეპა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო – დიდი თეატრის სოლისტები პირველად გამოვიდნენ ამერიკულ დასთან. ეს ორი მსახიობი ერთ კვირას სწავლობდნენ „ვარიაციებს რაიმონდას თემაზე“. ძნელია, ერთი კვირის განმავლობაში შეიძინო ახალი სტილი – სიჩქარე, რიტმი, ინტონაცია, როცა მთელი ცხოვრება კლასიკური სტილით ცეკვავ. ამიტომ საბჭოთა მსახიობების გამოსვლა უდიდეს სიმამაცეს ნიშნავს. ეს ისტორიული მომენტი, რომელიც შესაძლებელია, სხვა მოვლენებსაც დააჩქარებს, მაგალითად, ბალანჩინის დადგმების ჩართვას დიდი თეატრის რეპერტუარში: აღსანიშნავია ის არაჩვეულებრივი სინათლე, რომელიც თითქოს თანახლავს ანანიაშვილის გამოჩენას, ის ვარსკვლავია, რომლის ცეკვა მაყურებელს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს“.



(ნიუ-იორკ ნიუს-დეი, 3 თებერვალი; 1988).

„შესაძლებელია, ამერიკულ ბალეტში ახალი ფაქტორი გაჩნდეს, თუ ანანიაშვილი და ლიეპა მოინდომებენ დასაწყისი მისცენ ახალ მიმდინარეობას“ („ნიუ-იორკ ფოსტ“, 13 თებერვალი, 1988). „ანანიაშვილი და ლიეპა მთავარ პარტიებს ასრულებენ „ვარიაციებში რაიმონდას თემაზე“. ეს დადგმა მათ მხოლოდ ერთხელ ნახეს, მაგრამ იცეკვეს ისე კარგად, როგორც მოველოდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ცეკვავდნენ, როგორც დიდი თეატრის სოლისტები, და არა როგორც მოცეკვავეები, რომლებიც ბალანჩინის სტილით ავარჯიშეს. ეს იყო არა მხოლოდ მათი მომხიბვლელობის გაკვეთილი, არამედ გაკვეთილი ბალანჩინის შესახებ. მაყურებელმა მათ ოცავიები გაუმართა, ნინო ანანიაშვილმა კი დასის წევრებს ყვავილების თაიგული მიართვა“ (ნიუ-იორკ ტაიმს, 12 თებერვალი; 1988). „სამშაბათს საღამოს გამართულმა „სიმფონი ინ სიმ“ დამტკიცა, რომ ანანიაშვილისა და ლიეპას ჩამოსვლა იბლიანი აღმოჩნდა. მათ თავიანთი გამოვლენებით გაამდიდრეს „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ დასი“ („ნიუ-იორკ ნიუს-დეი“, 20 თებერვალი, 1988).

ნინო, ქართველ ფერიათა დასის დედოფალი, ვრცელ სამყაროს მოეფინა შენით ქართული მზის სიბზო და მცხუნვარება – დაუსაბამოდ...

„შეხედე, რა ლამაზია დღის დაბადება ქვეყნად, განა არა ღირს სიცოცხლე მზესთან თუნდ ერთხელ შეყვარდ...“

ღმერთმა უკვდავგოს მზესავით ნათელი ცოცხალი ლეგმნდავ.

ა. კუსიანი-მანაბელი

დათო მაღრაძე

თანამედროვე ქართველი პოეტი დათო მაღრაძე დაიბადა თბილისში, 1962 წლის 28 ივნისს. დაწყებითი განათლება მიიღო თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში, უმაღლესი განათლება კი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე იწყებს მოღვაწეობას უფროსი ჟურნალისტად: „ნიანგი“, „ცისკარი“, „მნათობი“, გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, სადაც პერიოდულად იბეჭდება ახალგაზრდა პოეტის ლექსები, თუმცა მის პოეზიას ქართველი მკითხველი უფრო ადრე ეცნობოდა, ჯერ კიდევ სკოლის ასაკში დათო მაღრაძე უფროს „ნობათში“ („ცისკრის“ დამატება) მიიწვევს რამდენიმე ლექსით.

1992 წელს პოეტი უფროს „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი ხდება, ხოლო 1992-1995 წლებში დათო მაღრაძე საქართველოს კულტურის მინისტრია.

ამჟამად ბატონი დათო მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაცია — ქართული პ.ე.ნ. — კლუბის პრეზიდენტია.

ავტორია ოთხი წიგნისა და ერთი მონოგრაფიისა (კირიონ II — კათოლიკოს-პატრიარქის შესახებ).

ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილი პოეტის დედა, — ქალბატონი ლია რთველიაშვილი — ფილოლოგი, და მამა, — ბატონი ელგუჯა მაღრაძე — მწერალი, პროფესორი, როგორც ვალმოხდილი მშობლები, ჭეშმარიტად ამყენებენ არიან ერის წინაშე.

დღეს კი, მისი ოჯახი — მშვენიერი მეუღლე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნესტან ციციშვილი და ქალიშვილები ნატა და ელენე მაღრაძეები მუშის ერთ-ერთ წყაროდ ქცევიან პოეტს — უთვალავ წყაროთა შორის...

პოეტ დათო მაღრაძის ნიჭის თაყვანისმცემლებს უთუოდ გავახარებთ ერთი ახალი ამბით:

1998 წლის 19 აგვისტოს, კემბრიჯის საერთაშორისო ლექსიკონის რედაქტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, პოეტ დათო მაღრაძის ბიოგრაფია შეტანილია საერთაშორისო ბიოგრაფიის ლექსიკონის 1999 წლის 27-ე გამოცემაში. არანაკლებ სასიხარულოა სიახლე, რომელიც უკვე გამოჩნდა 1998 წლის სექტემბერში დადებულ კონტრაქტს დანიის სამეფო კლუბის მიერ დ. მაღრაძესთან.

გაზეთი „ვერისუბანი“ წარმატებებს უსურვებს ვერისუბნელ თბილისელს, საქართველოს ჭეშმარიტ მამულიშვილსა და პოეტს დათო მაღრაძეს! დღეს მკითხველს საშუალება ეძლევა პოეტ დათო მაღრაძის ახალი წიგნის ხილვისა, ეს გახლავთ პოეტური კრებული სახელწოდებით „გახუნებული აფიშა“, რომელიც საბედნიეროდ უკვე გამოჩნდა წიგნის მაღაზიის თაროზე, მისამართით: რუსთაველის გამზ. №42. საფირმო მაღაზია „მერანი“. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს წიგნიდან „გახუნებული აფიშა.“



ვერისუბანის მუხრანის მოტივები

შუალამის ვალსი

ლამეს, ჩვენგან გახედნილს,
მხარზე ტრედი აზის,
იტალიის სამხრეთის
შუალამის ვალსი.
შანდალზე ნაღვენი
ცვილის სანთლის ფასით.
ანგელოსის დაკვეთით
ავწევ ტრფობის სასმისს,
ყავის ლექში ნახეტი
თვალი მჭვრეტდა თარსი.
მომტვრეულა საკეტი,
გატეხილა ნავსი,
შემსებია ბაგეთი
ასპიტების დასი,
მიშუშებდა კახეთი
ნაიარევს თასით,
მაგრამ ახლა სამხრეთის
შუალამის ვალსი
წვეთავს ბროლის შანდალზე,
ბროლზე დნება ბროლი...
სივრცეს გადაფასებს
ატეხილი გნოლი.
დავიწყნით ათასებს
მადათოვის თოვლი
და გაქარულ ნაფაზებს
ბანოვანთა ხომლი.
ვასილ ვარაზაშვილი
გადაკრულში უკრავს,
მაგონდება გამლილი
აივანზე სუფრა.
ძველი განწყობილება
ახალი გზით მოდის
და დარწმუნს წვეილებად
შუალამის მოტივს
ვასკას ფიზგარმონია
ფარდაგივით გაჰფენს,
მეცხრე ზეცა მგონია
გაკვამული კაფე.

წვიმა

და თბილი წვიმა —
ეშხი საყვარლის
წავა და მიწის სურნელს დატოვებს,
ჩამოთქეშილი ტრფობის ხარხარი
დაავიწყდება გამშრალ ნატბორევს.

და ისევ მოვა გრძნეული წვიმა,
გაიხათქუნებს გულზე კვიცივით,
ქალივით წავა
და როგორც წინათ
სხვის ქუჩას გაკრავს მისი სიცილი.

და მარტოობის მქისე ნაფაზი
წაბანცალდება ჭერში ლოთივით,
აივნის მთვარე
და მუხამაზი
იცვლება ფიქრით და სინოტივით.

ცარიელი და მქრალი დარბაზი...
ღარიბი სუფრის ძველი მოტივი...
ხელს გამოგიწვდის, როგორც ძმაკაცი
ვარაზის სველი ნატურმორტივით.

თბილისური რაფსოდია ანუ ლედი ენდ გამილტონ

1.
თავდაპირველად მიიღეთ
ჩემი გულწრფელი საღამო,
ვერაზე ყანა ბიბინებს,
ვაკეში დაწვეს წალამი.

ზემელი დასცეს სარეცელს,
ფერი უცვალეს მეიდანს,
პატარა ბიჭებს დაეძებს
პომადიანი დეიდა.

მაჭანკალების ელიტამ
უფრო დახვეწა ილეით,
ხანუმა გაქრა სცენიდან,
დაარსდა ოღრამ-ინვესტი.
გაზონზე ძროხა ბალახობს, —
ნოსტალგიაა პოეტის.
სიმფონიური შალახო...
— ბის!
— ბრავო!
ტაში მოედნის...

2.
კარგი დაუღა თამაში
ნახიმტარსა და ნატორევს,
ეფენდი ყომარხანაში
დმერთის კრიშიდან აგორებს,

ფოსტას არავის ამადლის,
ქოსას უდიმის ქოსურად,
მუჭში წკარუნი კამათლის
დუ-შაშზე არის ორსულად.

— რაც ტრფობის აცცდა შარბათი,
მწვანე მაუღზე მოსულა.

„ჰინეკენში“ ვმღერით და
კავალერისტობს ქვეითიც,

მონატრებია ერისთავს
„გაღმა-გამოღმა ხრეთით...“

მამა-პაპურმა დაგვგალა,
მოვიდა სულ სხვა ქეიფი,
ფეხი იტკინა ცანგალამ
ელოუნ დარჩა ბეიბი.

ცანგალა ომში არ წავა,
უფვარს სითბო და ლეიბი,
დედიკო მას ენაცვალა,
გაუჩალიჩებს რეიტინგს.

დაცხრება ბედის მთარსავი,
დაღებდა ლექსის ამინდი,
ნუგეშს მცემს ნიკალასავით
სოლოლაკური კრამიტი:

ლამანჩელი კაფეში

ზის ლამანჩელი კაფეში,
ძველს დაუკვეთავს კონიაკს,
გახუნებული აფიშა
სატრფოს ბარათი ჰგონია.

ქლესური გადაძახილით
თავები წაუქონიათ,
ის მიდის მტერზე მახვილით
სიკვდილი მღერა ჰგონია.

ტრამალის ქარი დაბმული
საკანის ტიბიკონია,
ეს სახიჩარი მამული
რანინდს სამშობლო ჰგონია.



მუსიკის მემკვიდრეები

ნიკა დოლენჯაშვილი

ყოველ ადამიანში მზება, - ოღონდ აცალეთ, რომ ანათოეს.

(სოკრატე)



ნიკა (ნიკოლოზ) დოლენჯაშვილი დაიბადა 1957 წლის 25 ნოემბერს. იგი ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ეზიარა ქართული სიმღერის მადლს, უფროსკლასელი ნიკა ხშირად მონაწილეობდა ახალგაზრდული საესტრადო სიმღერების ფესტივალებში. სწორედ ამ ფესტივალებიდან იპყრობს მომღერალი კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის დიდი ყურადღებას, რომლის მფარველობითაც ნიკა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში - პროფესიონალურ სცენაზე დგამს ნაბიჯს წარმატებითა და უამრავი მსმენელის მოპოვებით. ნიკას პირველი გამოჩენა ესტრადაზე 17 წლის ასაკში მოხდა, მხოლოდ 20 წლისა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. სტუდენტობის წლებში კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობს საესტრადო კონცერტებში, მიიწვიებს არა ერთ საესტრადო ანსამბლში როგორცაა: „ლაღე“, „ენგური“, თეატრალური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი. ჰქონდა მრავალი მი-

წვევა და საგასტროლო მოგზაურობა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, რომლებმაც დიდი წარმატებები მოუტანა მომღერალს. დროთა განმავლობაში პოპულარობასთან ერთად უმაღლეს მწვერვალს აღწევდა მისი პროფესიონალიზმი, რისი დასტურიც გახლავთ ბიჭვინთის ფესტივალში ლაურიატობის წოდების მინიჭება.

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ნიკა მიიწვიეს საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციის საესტრადო-სიმფონიურ ორკესტრში სოლისტად და დღემდე აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა თავის ერთგულ მუსიკოს-მსრულელებთან ერთად.

მონაწილეობას ღებულობს საქართველოში გამართულ საესტრადო ჟანრის თითქმის ყველა გალა-კონცერტში, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნიკა დოლენჯაშვილი თავისი მართლმადიდებლური მრწამსითა და სიმღერის დიდი სიყვარულით შეჯერებით ბრწყინვალედ ართმევს თავს ღვთისმსახურებას - დღეს იგი დიდუბის ღვთისმშობლის ტაძრის მგალობელთა დასის სოლისტია.

მომღერალს დიდი წარმატებები აქვს ქართულ კინოსა და თეატრში, სადაც არა ერთხელ გაახმოვანა ფილმები და სპექტაკლები, ავტორია საავტორო აუდიოფირისა სახელწოდებით - „გიმღერ, თბილისო“, რომლის შექმნის საშუალება საბედნიეროდ, დღეს უკვე გააჩნია მისი ნიჭის თავყვანი-სმცემლებს, ნიკას მრავალი ათეული საფო-

ნდო ჩანაწერი ამჟვენებს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ფონდს. მომღერალი მაქსიმალურად ცდილობს პროფესიონალთა სიმღერების შესრულებას, რაც უდაოდ საწინდარია მისი, როგორც პროფესიონალი მომღერლის წარმატებისა.

მომღერალს ჰყავს მეუღლე მაიკო და შვილები: ნინო, გიორგი, მარიამ და ირაკლი დოლენჯაშვილები. ნიკა დოლენჯაშვილი ბოლო დროს ხშირად ასრულებს თავისი მეუღლის სიმღერებს და რაც შეეხება შვილებს, ოთხივე მუსიკალურები არიან; „ოჯახის ყველა წევრი ვმღერით, ვხარობთ ერთმანეთითა და ველით ღამაზ მომავალს სიმღერის ხალისით“ - ამბობს მომღერალი.

მომღერლის მიზანია - იმღეროს ამაღლებული განწყობილებით ამაღლებულ ღირებულებებზე, საიმედო მომავლის რწმენით.

ორიგინალური საშემსრულებლო მანერა, უნიკალური ტემბრი, ხავერდოვანი ხმა, რაინდული გარეგნობა, შინაგანი ინტელექტი, მდიდარი ბუნება, კეთილშობილური სისადავე, უმაღლესი პროფესიონალიზმი - აი შეფასებები, რომელთაც ნიკა დოლენჯაშვილზე ხშირად მოისმენთ მუსიკოსთა წრეში და თავყვანისმცემელთა შორის, რომელნიც მომღერლის შემოქმედებასთანაა ნახიარვენი. ბატონო ნიკა, „ვერისუბანი“ გისურვებთ, რომ მუდამ გქონოდეთ სიმღერის



განწყობა და მუდამ გყოლოდეთ თავყვანისმცემელთა ურიცხვი არმია - ერთიან და მშვიდობიან საქართველოში.

მეუღლისადმი

ნიკა დოლენჯაშვილს

სიმღერამ ვატარა და შემოვატარა უკიდევანო ფერადი შარავ ზა, ამ ვაზე შემოვ ხვდი მე მრავალ სხვათაგან არც ისე ცოდვილი, არც ისე პატარა.

მივყვებით ერთმანეთს, ვჩერდებით ვ ზადავ ვა ეკლებს, ცრემლებს, ღალატის კვალდაკვალ, რა გვინდა ამ ვაზე, ან ერთად რადა ვართ თუ ერთნი გვექვია და ვართ მანც სხვადასხვა.

ან იქნებ შენ სულაც სიმღერა თავად ხარ და მე კი მიმიხევე ვალექსილ ბარათად; სიმღერამ ვატარა და შემოვატარა უკიდევანო ფერადი შარავ ზა...



მომღერლის შემოქმედებასთანაა ნახიარვენი. ბატონო ნიკა, „ვერისუბანი“ გისურვებთ, რომ მუდამ გქონოდეთ სიმღერის

თამაზ ყურაშვილი მსოფლიო ჯაზის თანაგაზსკვლავადში

მუსიკოსი (კონტრაბასისტი, ბასვიტარისტი, კომპოზიტორი, არანჟირების ოსტატი), ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

თამაზ ყურაშვილი დაიბადა 1947 წლის 25 აგვისტოს, დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა. ჯერ კიდევ სამი წლის თამაზი დამოუკიდებლად იწყებს გიტარაზე დაკვრას. შემდეგ ფორტეპიანოსაც ეუფლება. 23 წლის ასაკიდან, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი იწყებს სწავლას კონსერვატორიაშიც, სიბებიანი ინსტრუმენტის ფაკულტეტზე, პროფესორ სავჩენკოს კლასში, კონტრაბასისტის სპეციალობით. მისი ბიოგრაფია თითქმის მთლიანად შემოქმედებითია, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვით მის სახელოვან მშობლებს. - დედას ქალბატონ მერი მაჩაბელს, რომელიც უმაღლესი რანგის ექიმ-დერმატოლოგ-კოსმეტოლოგია, იგი ორმოცი წელია დიდი წარმატებით უძღვება თავის კეთილშობილურ პროფესიას და ისეთი მდიდარი და ღამაზი ბუნებითა დაჯილდოებული, როგორცაა გარეგნულად გამოიყურება. კეთილი და მშვენიერი ქალბატონი მერი მაჩაბელი - მეუღლე, ორი ვაჟიშვილის დედა, ოთხი შვილიშვილის ბებია და ორი შვილთაშვილის დიდედაა. მამას - ბატონ ბორის ყურაშვილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველს, საქართველოს პარაზიტოლოგიის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტს, დარბაისლური გარეგნობისა და რაინდული ბუნების პიროვნებას, მეუღლესთან - მერი მაჩაბელთან ერთად არ დაუზოგავს არაფერი, რათა ვაჟიშვილის - თამაზ ყურაშვილის, როგორც თანამედროვე ქართველი პროფესიონალი მუსიკოსის ფენომენი

იმგვარად ჩამოყალიბებულიყო, როგორცაა მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია გამოიყურება. ბატონ თამაზს ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი. ჯერ კიდევ კონსერვატორიის პირველკურსელი თამაზ ყურაშვილი ხდება ბაქოში გამართული ამიერკავკასიის კონკურსის ლაურეატი - კლასიკური მუსიკის განხრით, იმავე წელს ისევ ბაქოში ჯაზური მუსიკის ფესტივალის ლაურეატობაც ხვდა წილად.

1977-1979 წლებში ბატონი თამაზი თანამშრომლობს პიანისტ ვაგიფ-მუსტაფა-ზადესთან, მათ ერთად გამოუშვეს ალბომი სახელწოდებით „ჯაზური კომპოზიციები“. 1979-1989 წლებში თამაზ ყურაშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს ტელევიზიის ჯაზ-ორკესტრს, შემდეგ იგი იყო საესტრადო-სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი და დირიჟორი (1983-1985). თამაზ ყურაშვილი თანამშრომლობდა ისეთ მუსიკოსებთან როგორებიც არიან: პიანისტი მიხეილ ოკუნი (მათ ერთად გამოუშვეს ორი ფირფიტა - 1987-1989 წლებში); ნიკოლაი ლევინსკი, სერგეი გურბელაშვილი, (საქსაფონი), ვიქტორ ვანენსიკოვი (დასარტყმელი ინსტრუმენტები), ალექსეი კუნსენოვი (გიტარა), გიორგი გარანანი (საქსაფონი). თ. ყურაშვილი არის საერთაშორისო

ჯაზ-ფესტივალის მონაწილე (1980-1990 წლებში) - დებრეცენში, ბუდაპეშტში, მიშკოლციხში (უნგრეთი), პრაღაში, ბრატისლავაში (ჩეხოსლოვაკია); ვარშავაში (პოლონეთი); სოფიაში (ბულგარეთი); სტამბულში (თურქეთი); ზაგრებში (იუგოსლავია); ლისაბონში (პორტუგალია); ბომბეში (ინდოეთი, სინგაპურში ჰავაში (ნიდერლანდები) თბილისში, დონეცკში, სანქტ-პეტერბურგში, მოსკოვში.

1989-1990 წლებში აკომპანიმენტს უკეთებდა მუსიკოსებს ვიქტორ ჯორისს, ვ. შაფრანს, ვ. პონომაროვს, ბრანდტორდ მარშალისს, სტენლი ჯორდანს, ჯონ მედისონს, ნ. როდეს და სხვებს.

თამაზ ყურაშვილის (როგორც კომპოზიტორის) მუსიკით გაფორმებულია მრავალი ფილმი და სპექტაკლი. თამაზ ყურაშვილი პოპულარულია ალბომებით: „ჯაზური კომპოზიციები“ - (1979წ. მოსკოვი); „ოლიმპია-კონცერტი“ - (1986წ. მპია-კონცერტი); „ჯაზ-ტრიო“ - (1987 წ. მოსკოვი), „საფესტივალო დისკი“ - (1988 წ. ბრატისლავა), „ჯაზური ბალადები“ (1988 წ. ლენინგრადი). „1978 წელს თბილისში გამართულ ჯაზ-ფესტივალზე თამაზ ყურაშვილი აღიარებულია უნიჭიერეს მუსიკოსად. რუსეთში, სადაც ელექტრო-კონტრაბასი ძალზე პოპულარულია, თა-



მოსკოვი); „ჯაზ-ტრიო“ - (1987 წ. მოსკოვი), „საფესტივალო დისკი“ - (1988 წ. ბრატისლავა), „ჯაზური ბალადები“ (1988 წ. ლენინგრადი). „1978 წელს თბილისში გამართულ ჯაზ-ფესტივალზე თამაზ ყურაშვილი აღიარებულია უნიჭიერეს მუსიკოსად. რუსეთში, სადაც ელექტრო-კონტრაბასი ძალზე პოპულარულია, თა-

მაზ ყურაშვილი გამოირჩეოდა საუკეთესო შემსრულებელთა შორის - დახვეწილი ბგერებითა და შესრულების მანერით; ასეთივე წარმატებით უკრავდა იგი თავის ჯგუფთან, ტრიოსთან, მუსტაფა ზადესთან ერთად. ნებისმიერ შემთხვევაში იგი გამოირჩეოდა როგორც შესანიშნავი სოლისტი და პარტნიორიც. ბიბი ქინგის და მისი ჯგუფის ტურნეს შემდეგ, რომელიც 1979 წელს თბილისში გაიმართა, „დეილი ულდა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ბიბი ქინგთან, რომელმაც ბრძანა, რომ „საბჭოთა კავშირში ტურნეს დროს, მე განსაკუთრებით მახსოვს თბილისი, საქართველო, სადაც ჯგუფს სენის დროს ჩვენი ორკესტრისათვის აკომპანიმენტი გააკეთეს თბილისელმა მუსიკოსებმა, განსაკუთრებით განმაცვიფრეს კონტრაბასისტმა თამაზ ყურაშვილმა და პიანისტმა მუსტაფა-ზადემ, თავიანთი ტალანტით მათი მათ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე“.

„ამერიკის ხმამ“, „ჯაზის საათმა“, - არაერთხელ აღნიშნა თამაზ ყურაშვილისა და მუსტაფა ზადეს ერთობლივი ფორფიტების შესახებ. ვუილის ქონოვერმა ზაზი გაუსვა ამ მუსიკოსთა ტალანტს და მაღალ რეიტინგს, იგი აღნიშნავს: თამაზი არის ჩემი საუკეთესო ქართველი ჯაზმენი (1980-1983-1984-1987).

1990 წელს ამერიკაში გამართულ კონცერტებს, სადაც თამაზ ყურაშვილი იღებდა მონაწილეობას, დიდად გამოეხმაურა „ნიუ-იორკ თაიმსი“, სადაც ქართველ მუსიკოს-კონტრაბასისტს - თამაზ ყურაშვილს, როგორც ნიჭიერ შემსრულებელს, უმაღლესი შეფასება მიეცა. „ვერისუბანი“ ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს საქვეყნოდ აღიარებულ ქართველ მუსიკოსს, ბატონ თამაზ ყურაშვილს.

ქართული კინოს მშვენიერება ლეილა აბაშიძე



ქართველ კინოვარსკვლავთა შორის საქართველოს სახალხო არტისტმა ლეილა აბაშიძემ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. ეს პოპულარობა მსახიობის მომხიბლავმა გარეგნობამ, მრავალმხრივმა ნიჭმა და მაღალმა პროფესიულმა ოსტატობამ განაპირობა.

ჯერ კიდევ რვა წლისა იყო ლეილა, როდესაც წილად ხვდა მაყურებლის აღიარება ფილმ „ქაჯანაში“ პატარა კატოს როლის უხადო შესრულებით.

რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლეილა აბაშიძემ კინოში მრავალი კომედიური და დრამატული როლი განასახიერა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მარინე („ჭრიჭინა“) და ლეილა („ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“). ჭრიჭინას როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის უცხოურმა პრესამ მას „საქართველოს მერი პიკფორდი“ უწოდა.

ლეილა აბაშიძის გმირები ყოველთვის გამოირჩევიან უშუალოდ, გულწრფელობით. განუმეორებელი კოლორიტით. დიდი ემოციურობა და ფსიქოლოგიური განცდა ჩააქსოვა მან ნინოს როლში („შეხვედრა წარსულთან“), რომლის განსახიერებისთვისაც 1967 წელს ამიერკავკასიისა და უკრაინის რესპუბლიკების კინოფესტივალსა და 1968 წელს პეტერბურგში გამართულ საკავშირო კინოფესტივალზე პირველი პრემია დაიმსახურა.

მსახიობის შემოქმედების ფართო დიაპაზონზე მეტყველებს ფილმი „თბილისი – პარიზი – თბილისი“, სადაც გარდა მთავარი როლის შესრულებისა, ლეილა აბაშიძე კინომაყურებელთა წინაშე წარსდგა როგორც სცენარის ავტორი და რეჟისორი.

ამჟამად ქალბატონი ლეილა კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობს ეწევა და იმედია, ახლო მომავალში მას კვლავ ექნება პაემანი თავიანთი მემკვიდრეობით.

ღმერთმა ქნას, მარად ახალგაზრდა და უჭკნობ დედოფალს – ლეილა აბაშიძეს დაუთვლელი როლები განესახიერებინოს მისი ერთგული მაყურებლებისათვის.



კვილი უზნის ახალი სიბჭლი თემო მაჭავარიანი

მხატვარი ცალი ხელით ცას უნდა ეხებოდეს, მეორით – მიწას.
კოლო



ქართული ფერწერის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მხატვარი თემოურაზ (თემო) მაჭავარიანი დაიბადა თბილისში, 1944 წელს. სკოლის დამთავრებისთანავე შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში გადაწყვიტა სპეციალობის შეცვლა და გადადის თეატრის მხატვრის ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგი ფარნა ლაპიაშვილი გახლდათ. ბატონი თემო წარმატებით ამთავრებს სამხატვრო აკადემიას და შემდეგ ასეთივე წარმატებით ამთავრებს ასპირანტურასაც.

საინტერესო და მრავალფეროვანი იყო მისი შემოქმედებითი ცხოვრება და ასეა ახლაც. 80-იან წლებში ბატონი თემო მართავს პერსონალურ გამოფენებს:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის დარბაზში, კლუბ „გულანშაროში“, კინო-თეატრ „ვახტანგში“ და სხვაგან სხვადასხვა დროს.

მხატვარი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ჯგუფურ გამოფენებშიც, რომლებიც მრავალჯერ მოეწყო თბილისში, პარიზში, ლონდონში...

მისი მონაწილეობით იმართებოდა აუქციონები ბარსელონაში, ნიუ-იორკში და სხვაგან.

აღსანიშნავია, რომ თემო მაჭავარიანის ფერწერული ტილოები ინახება პარიზში – ლადიქების კოლექციაში და ბრიუსელში – სალარაძეების კოლექციაში.

ღღეს კი ბატონი თემო შემოქმედებით სა-

ქმიანობასთან ერთად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას – თანამედროვე ხელოვნების აკადემიაში, სადაც იგი დიზაინის კათედრის გამგეა.

ჰყავს მეუღლე, – ქალბატონი სვეტლანა მაჭავარიანი, ორი შვილი ნინო და დათო მაჭავარიანები და ერთი შვილიშვილი.

ნინო ქსოვილების დიზაინერია, ხოლო დათო გატაცებულია რატქმა უნდა, მხატვრობით და უფრო მე-

ტად, მუსიკით. ბატონ თემო მაჭავარიანს ხშირად უყვარს წარსულის გახსენება, იმ წარსულისა, რომელიც უკავშირდება ძველ ვერებთან თანაცხოვრებას, განსაკუთრებულად იხსენებს ცხონებულ ავთო ვარაზს – პიროვნებას, შემოქმედს, უფროს მეგობარს. სიამოვნებით იხსენებს ნიაზ ღიასამიძეს – ვერისუბნის კოლორიტსა და შემოქმედებითი ბუნების მქონე დიდ კაცს, ეს გახსენება ისეთივე თბილი, სვედიანი და სიყვარულით აღსავსეა, როგორც იშვიათი ჰარმო-



დილათბილისის კველ უბანში - ბრავიოული ტილო, მხატვ. თ. მაჭავარიანი

ნიულობით აღსავსე მამაკაცის, მხატვარ თემო მაჭავარიანის გამომეტყველებაა ხშირად.

აი, რას ამბობს ბატონი თემო საკუთარ თავზე: – „მე ვთვლი, რომ ჯერ კიდევ არ გამოიხატავს საკუთარი თავი და უსათუოდ ვეცდები ბოლოსდაბოლოს ოდესმე მაინც მივადწიო ამას“. (სწორედ ამამია დიდი მხატვრის თავმდაბლობა).

თემო მაჭავარიანის ხალასი და ფაქიზი ფერწერული ტილოები, რომლებიდანაც მოჩანს სივრცე ნათელი, ნატიფი ხაზებისა და დაუთვლელ ფერთა პალიტრაში მოქცეული უსასრულო, უთუოდ გვაფიქრებინებს იმაზე, რომ ფუნჯი, რითაც სულით ხორცამდე ლამაზი მხატვარი ხატავს, წინასწარ გონებაშია ამოვლებული.

მიუხედავად სახელოსნოს არქონისა, ბატონი თემო კვლავ აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას, რადგან მშვენივრად იცის, შრომაში გართულ ფუტკარს დარდის დრო არა აქვს და ყოველთვის ახსოვს თომას მანის გენიალური აზრი: „ხელოვნება – უმშვენიერესი, უმკაცრესი, კეთილი და სასიხარულო სიმბოლოა მარადიულობისა“.

მხატვარ თემო მაჭავარიანის ნიჭის თავიანთმცემლებს კი შევასხენებთ, რომ სახლში, რომელშიც ბატონი თემო ცხოვრობს – მისამართზე თ. ჭოველიძის ქუჩის №8-ში (ყოფილი ბელინსკის ქუჩა) ეძლევათ საშუალება ეზიარონ მხატვრის ძველი და ახალი ტილოების საუცხოო პალიტრას, რომელიც გაუღწეულია თბილი სინათლითა და რბილი მუსიკით.

ეს თანამედროვე სამორინეა – თბილისის ჭადრაკის სასახლე. მისი დაბადების დღე – 1973 წლის 14 აპრილი – სამუდამოდ დარჩა ქართული ჭადრაკის მრავალსაუკუნოვან მატჩანეში. გულს ახარებს მშვენიერი სასახლის 520 ადგილიანი სააქტო დარბაზი, სინათლითა და ჰაერით უხვი ფოიე და ვესტიბიულები, ლამაზად გარშემოკრული აივნები.

ჭადრაკის სასახლე ვერის უბნის სიამაყეა. იგი საოცრად ამშვენებს თბილისს. სასახლე ყველა დიდი ტურნირისა და მატჩის მასპინძელია.

ჭადრაკის სიბრძნემ იმთავითვე მოინადირა ქართველი კაცის გული და გონება. მან იგრძნო, რომ მოჭადრაკეთა ბრძოლაში მუდამ გონიერი, მარჯვე და მამაცი მებრძოლი იმარჯვებს, ამიტომ შეიყვარა იგი და თავისი სულიერი ცხოვრების ნაწილად აქცია. ამის ნათელი გამოხატულებაა ხალხში გავრცელებული თქმა:

„ნარდი ბეღია, ჭადრაკი ჭკუა, ბანქო ცუდია, განჯაფა ტყუა“.

ხშირად გაიგონებთ: საქმე ჭადრაკულად მაქვსო, ამ გამოთქმაში ადამიანი გულისხმობს, რომ მისი საქმე რთული, დახლართულია. ეს მაგალითი მიუთითებს, რომ ჭადრაკი ძნელ თამაშადაა მიჩნეული და მასში გამარჯვებისათვის გონების დიდი დაძაბვაა საჭირო.

არავინ იცის იყო თუ არა შორეულ წარსულში ჭადრაკის სათამაშო ადგილი თბილისში. უნდა ვიფიქროთ, რომ იყო XVIII საუკუნეში სულხან-საბა ორბელიანის თავის ლექსიკონში „სიტყვის კონა“ (1725 წ.). – სიტყვა სამორინეს გამოხატავს, როგორც ნარდისა და ჭადრაკის სათამაშო ადგილს.

რა თქმა უნდა, იგი არ იქნებოდა კლუბი, ალბათ, იყო პარიზის ცნობილი კაფე „რეფანსის“ (XVIII-XIX სს.) მსგავსი მყუდრო სავანე თბილისელ მოჭადრაკეთათვის. მოჭადრაკეები ყოველ დროში ოცნებობდნენ თავიანთ სამორინეზე. ცნობილია, რომ XIX

საუკუნეში ჭადრაკის მოყვარულები სასაპარეზოდ ოჯახებში იკრიბებოდნენ. რეკოლუციური მოძრაობით დამფრთხალი მეფის რუსეთის მოხელეები თბილისშიც კრძალავდნენ ჭადრაკის კლუბის გახსნას. ამიტომ XX საუკუნის პირველ ნახევრამდე თბილისში ერთი ტურნირიც არ გამართულა. მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში შეიქმნა შესაძლებელი (1919) თბილისის ახალდაარსებული უნივერსიტეტის პირველი ჩემპიონატის გამართვა. იგი სტუდენტთა სასაიდლოში მოეწყო.

პირველი ჭადრაკის კლუბი თბილისში გაიხსნა 1923 წელს ე.წ. ზაფხულის პარკში. მერე კლუბმა არტოს პარკში (დავით აღმაშენებლის პროსპექტი 107) დაიდო ბინა. 1927 წელს კლუბს სამხედრო სობოროს შენობაში (იქ, სადაც მერე საქართველოს მთავრობის სახლი აშენდა) ორი ოთახი დაეთმო. იმავე წლის შემოდგომაზე მოჭადრაკეებს გადაეცათ რუსთაველის პროსპექტზე ერთ-ერთი სახლის (ამჟამად აქ ტელეგრაფის შენობაა) პირველი სართული. ამ კლუბმა უმასპინძლა 1928 წელს საქართველოს ვაჟთა პირველ ჩემპიონატს, 1930 წელს ვ. ნენაროკოვ-გ. გოგლიძის საკლასიფიკაციო მატჩს.

1931 წელს ჭადრაკის კლუბს სასტუმრო „თბილისის“ ვესტიბიული გადაეცა. აქ 1934 წელს ავსტრიელი მოჭადრაკის ჰ. კმოხის მონაწილეობით ახალგაზრდა ოსტატთა ტურნირი მოეწყო. 1936 წელს ახალი კლუბი გაიხსნა რუსთაველის პროსპექტზე, ძველი ეკლესიის შენობაში (№48), მან 37 წელი იარსება. ამ კლუბთან დაკავშირებულია საქართველოს საჭადრაკო ცხოვრების მრავალი მნიშვნე-

ლოვანი მოვლენა, მოჭადრაკეთა თვალსაჩინო მიღწევები. აქედან გაიკაფეს გზა დიდ ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილმა, ტ. პეტროსიანმა და ბევრმა სხვა ცნობილმა მოჭადრაკემ.


1957 წელს კლუბმა თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა შეიკვლია.

საჭადრაკო მოძრაობის მძლავრმა წიხვლამ თანდათან ეს დიდი კლუბიც დააპა-

წვლილი (ვიქტორ გოგლიძე, თამაზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, დავით გურგენიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ალექსანდრე დობოჯგინიძე, იოსებ კრიხელი, გენადი ზაიჩიკი, ვია ნადარეიშვილი, ზურაბ სტურუა, ელიზბარ უბილავა, ვახტანგ ქარსელაძე) ქართული ჭადრაკის განვითარების ისტორიაში. საქართველო დამსახურებულადაა აღიარებული „ჭადრაკის პოეზის“ ქვეყნად.

თანამედროვე სამორინე

თბილისის ჭადრაკის სასახლე



ტარავა. ჭადრაკის დედოფლის სატახტო ქალაქს სასახლე დაამშენებდა და იგი აიგო კიდევ. მშენებლობას დიდი ენერჯია შეაღია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის იმდროინდელმა თავმჯდომარემ – არჩილ ჭირაქაძემ. მშენებლობას თითქმის ათი წელი დასჭირდა. ჭადრაკის სასახლე აშენდა – თბილისის ვერეს პარკში, იმ ადგილას, სადაც ვ. გოგლიძე ოცნებობდა.

სასახლის პროექტის ავტორები არიან ცნობილი არქიტექტორები: ვ. ალექსიძე-სხიშვილი და მ. ლუდუშაური. მხატვრულად გააფორმეს მხატვრებმა: ო. ქოჩაკიძემ, ა. სლოვინსკიმ და ი. ჩიკვაძემ.

ჭადრაკის სასახლე თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლია. მას ბადალი არ მოეძებნება მსოფლიოში.

ჭადრაკი ჩვენში ჭეშმარიტ სახალხო თამაშად იქცა XX საუკუნეში. ქართველმა მოჭადრაკეებმა, განსაკუთრებით კი ქალებმა (ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია) შთამბეჭდავი გამარჯვებებით მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი აღიარება დამსახურეს.

„მინდ მაღლობა ვუთხრა საქართველოს, სტუმართმოყვარეობითა და კულტურით ცნობილ საქართველოს, იმისათვის, რომ მან ჭადრაკს აჩუქა თავისი საუცხოო ასულები. საქართველო რომ არა, ქალთა ჭადრაკის სამყარო ალბათ... არსად იქნებოდა. განუზომელია თქვენი ქალების წვლილი ბრძნული თამაშის საერთო განვითარებაში“ – ინეკა ბეკერი (პოლანდია), ფიდეს გენერალური მდივანი.

ასევე დიდია მოჭადრაკე მამაკაცთა

დღეს „ჭადრაკის პოეზის“ ქვეყანაში, როგორც ყველას და ყველაფერს, ჭადრაკის მშვენიერ სასახლესაც უჭირს. თუ ჭადრაკის ფედერაციის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა არჩილ ჭირაქაძემ სასახლის მშენებლობას დიდი ენერჯია შეაღია, ჭადრაკის ახლანდელი ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ზურაბ აზმაიფარაშვილს, არანაკლები ძალისხმევა სჭირდება სასახლის შესანარჩუნებლად. ბატონი ზურაბის, ქართული საჭადრაკო სკოლის დირექტორის, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის, საჭადრაკო გზა 1978 წელს დაიწყო. ამ წელს იგი გახდა სპორტის ოსტატი, შემდეგ – საერთაშორისო ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი (1980), სსრკ ჩემპიონატის მონა-

წილე, ორგზის სტუდენტთა მსოფლიო გუნდურ პირველობაში გამარჯვებული. საუკეთესო შედეგები: I ადგილი, ალბენა – (1984-1986), ხარარე (1985), ჰავანა (1988), ამსტერდამი, ბერლინი, ლონდონი (1991), კასპაროვის სეკუნდანტი (1988, 1990, 1992), მსოფლიო 30-ე საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში (1992), აი, არასრული სია ზურაბ აზმაიფარაშვილის საჭადრაკო სარბიელზე წარმატებებისა.

ყოველდღიურ ცხოვრებაშიც არანაკლები წარმატებანი აქვს ბატონ ზურაბს, აქვს მშვენიერი ქართული ოჯახი, უყვართ კოლეგებს, თანამშრომლებს, ნაცნობ-მეგობრებს და არა მარტო მათ, ზურაბი უყვარს ყველას, ვისაც უყვარს ჭადრაკი და ვინც ჭადრაკის სასახლეს ქართველი ერის სიამაყედ თვლის.

რედაქციისაგან: ჩვენს შემდგომ ნომერებში თანმიმდევრულად გავაშუქებთ სპორტის სხვადასხვა

სახეობებში დაწინაურებულ მოჭადრაკეებს, სპორტსმენებს, რომელნიც უკავშირდებიან ვერის უბანს და განთქმულნი არიან თავიანთი დიდოსტატობით საერთაშორისო არენაზე.

დღევანდელი ნომრის საინტერესო მასალების მოწოდებისთვის კი უღრმეს მაღლობას და კეთილ სურვილებს ვუძღვნიტ ჩვენს უფროს კოლეგასა და უანგარო მეგობარს, ძირძველ ვერისუბნელს – საქართველოში ჭადრაკის მატჩანეს დამფუძნებელს, საერთაშორისო არბიტრს ჭადრაკში, საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საქართველოს ფიზკულტურის და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, 24 წიგნის ავტორს ჭადრაკის ისტორიის, თეორიის, შეჯიბრებებისა და მსაჯობის შესახებ, საქართველოში ჭადრაკის მოტრფიალე ყველა ადამიანისათვის საყვარელ პიროვნებას, ბატონ თენგიზ შაღვას ძე გიორგაძეს.

შპრისეპი ქართული ჭადრაკის ისტორიიდან:


ჭადრაკი ქართველების გართობისა და ლხინის დამამშვენებელი იყო მუდამ. ჭადრაკის თამაშის ცოდნას ძველ საქართველოში ღირსებად თვლიდნენ. „ვისრამიანში“ (XII-ს) რომანის ერთ-ერთი გმირი ალსანიშნავია იმით, რომ არის „მოჭადრაკე მხიარული“.

მოსე ხონელი (XII ს) კი „ამირანდარეჯანიანში“ გვიამბობს – „დაიდევს ნადიმი და იმღერდიან მოშაითნი და იქმოდან აჯაბათა, ჰხენდიან ცხენთა, ზოგნი ჭადრაკთა იმღერდიან, ზოგნი ღუინოსა სმიდიან“. მეფე-პოეტს არჩილს (1614-1713) ჭადრაკი, ადამიანის მაღალ ზნეობად მიაჩნდა. ღრმად ჩასწვდა ჭადრაკის არსს სულხან-საბა ორბელიანი. მას ჭადრაკის ძლიერი მოთამაშე ჭკვიან ადამიანად მიაჩნდა. ორბელიანმა „სიტყვის კონაში“ ჭადრაკის ტერმინებს საყურადღებო ადგილი მიუჩინა.

სწორედ ამ ტერმინების შესწავლით ირკვევა, რომ იმდროინდელ საქართველოში ყოფილა ჭადრაკისა და ნარდის სათამაშო ადგილი – „სამორინე“.

XVII-XVIII საუკუნეებში ტრადიციად დამკვიდრდა მზითვად ჭადრაკის გატანება. დიდგვაროვანი და შეძლებული ოჯახები მეტი სიმამითი ეკიდებოდნენ ჭადრაკს. იცოდნენ ამ მეფური თამაშის ღირსებები. განსაკუთრებულ ინტერესს ჭადრაკისადმი იჩენდნენ ქალები. მათთვის ჭადრაკი ისეთივე სულიერი საზრდო იყო, როგორც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.



სამშობლო ჭადრაკი ნამდვილი განძი გახლდათ. ფიგურებს სპილოს ან ხარის ძვლისაგან ჭრიდნენ. ქართულ ჭადრაკს სასიამოვნო ფორმა აქვს და ეროვნული ელფერი დაჰკრავს. ჩვენამდე მოღწეული უძველესი სამშობლო ჭადრაკი აღმოჩნდა თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ დ. ციციშვილის კოლექციაში. იგი განეკუთვნება XVII-XVIII საუკუნეებს. მეცნიერების აზრით, ქართული ჭადრაკის სტილი უფრო ადრინდელია. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის მიერ 1937 წელს დმანისის გათხრებში მიკვლეული ჭადრაკის სამი ფიგურა. ჯავახიშვილმა იგი XII საუკუნით დაათარიდა. მათგან ერთი ეტლია, რომელსაც სფერული ფორმა აქვს, მეორე – პაიკი ქართული ორნამენტისთვის დამახასიათებელი წრეხაზებით, მესამე – რომელიღაც ფიგურის, უფრო ლაზიერის ან მეფის ფიგურის, საგულისხმო ისაა, რომ ჭადრაკის ქართული ეროვნული ფიგურების არსებობას საქართველოს მდიდარ საჭადრაკო ტრადიციებზე მეტყველებს.



ზურაბ აზმაიფარაშვილი



თენგიზ შაღვაძე



ჭადრაკის ქართული დედოფლები

„ნერგები“

თბილისის 170-ე ბაგა-ბაღი



„ყველაფერი, საუკეთესო, — ბავშვებს,“ — რამდენიმე წლის წინათ ატაცებული, ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ეს ფრაზა, დღესაც პირდაპირი გაგებით იხსენება, თუ თქვენ არ დაიზარებთ და შანიძის ქუჩაზე მდებარე 170-ე ბაგა-ბაღს — „ნერგებს“ — მიაკითხავთ. თავი ამქვეყნიურ სამოთხეში გვეგონებათ.

ეზოში შესვლისთანავე თვალს იტაცებს ლამაზად დახუნძლული, ფოთლოვანი მომარცვული, ხურმის ხე. გარშემო უამრავი ნაყოფისმომცემი მცენარე ხარობს, რომელთაც განთქმული მებაღისა და ბავშვებისათვის საყვარელი შალვა ბაბუას მზრუნველი ხელი ატყვია.

ჩვენი აღსაზრდელები, სამაისო ბლიდან დაწყებული, — დეკემბრის ხურმით დამთავრებული, საკუთარ ეზოში დაკრეფილ ხილს მიირთმევენ, გვეუბნება საბავშვო ბაღის გამგე — უმშვენიერესი ქალბატონი — იზა ანდლულაძე-კობერიძე.

ქალბატონი იზა თავისი საქმის ღრმად მყოფი და მოყვარული გახლავთ, სათუთარი უფრო ვეღვალი ჩანაწერს, სავსებით სტატუსს თუ დიპლომს, რომელიც მათი საბავშვო ბაღის მუშაობას აშუქებენ. სი-

ამაყით მაჩვენა 1997 წელს ქალაქის მერიის მიერ გადაცემული დიპლომი — „წლის საუკეთესო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კონკურსის ლაურეატის წოდების მინიჭების შესახებ. დიპლომს ხელს აწერენ: ქალაქის მერი — ბ. შოშიტაიშვილი. ჟიურის თავმჯდომარე გ. წერეთელი და განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი — ზ. მარუაშვილი.

საბავშვო ბაღს საინტერესო ისტორია აქვს; 1968 წელს, იმდროინდელმა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა — ვასილ მუჟაგანაძემ, ეს შენობა გადასცა საბავშვო ბაღს, და მას „მუჟაგანაძის ბაღს“ უწოდებდნენ. დღემდე გახსნილია ბაღი მუჟაგანაძის სახელით შორის ირიცხებოდა, ტრადიციას არც ახლა და-



ვერისუბნელი პატარების სახელით მარიამ ოდიშაძე. „ბასტი და ბუბუ, გილოცავთ შობა-ახალ წელს! თქვენთან ერთად ამ დღესასწაულს ვულოცავთ ყველა ზღაპრის გმირს: ფიჭვისა და შვიდ ქუჩას, წითელქუდას, ნაცარქექიას, კონიას, კომბლეს და გულუხვ თოვლის ბაბუას!“

ტომაცაა, რომ ჩვენს შეჭირვებულ ყოფაში, 170-ე ბაგა-ბაღი თანხისით გამოიყურება.

ბაგა-ბაღი გამორჩეულია იმიტაც, რომ კულტურისა და ხელოვნების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აღსაზრდელებთან თავდაუზოგავ შრომას ეწევიან. ამას ადასტურებს ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა არაერთი მონაწილეობა საბავშვო კონკურტებში, რომლებიც ხშირად იმართება ფილარმონიაში, ოპერისა და ბალეტის თეატრში და სხვა დიდ დარბაზებში. ახლაც დიდი ზემოქმედება აქვთ საბავშვო ბაღში, ბუნდური ბავშვები მხიარულად ხვდებიან სანატრულ თოვლის ბაბუას.

ჩამთბარ და მუდამ განათებულ საბავშვო ბაღის შენობიდან უამრავი ბავშვის სასიამოვნო ჟრიამული ისმის. ბაღის შენობა 150 ბავშვზეა დაგეგმილი, ჩართულია 350.



170-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელი, 5 წლის ირაკლი დოღვაშვილი. „ახალ წელს ვულოცავ მთელი დედამამის მკვიდრ პატარებს, ჩემს დედიკოს და მამიკოს, ჩემს და-ძმას, ბებბას და ბაბუას, ნათესავებს, ჩემს საყვარელ მასწავლებლებს, ჩემს მეგობრებს და მიუსაფარ თანატოლებს. ბედნიერება დაგეგმებოდეთ!“

ყოველდღიურად 220-230 ბავშვი ცხადდება. ადვილად გასაგებია მშობელთა ინტერესი ამ ბაღისადმი, აქ ხომ ყოველგვარი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მათმა ბავშვებმა თავი ლაღად და ბედნიერად იგრძნონ.

ფუნქციონირებს 8 ჯგუფი, პირველი კლასი და 1 ბაგა. გადსასადების საქმეც ჰუმანურადაა დაყენებული, თითოეული მშობელი იხდის შეძლებისდაგვარად. მრავალშვილიანი ოჯახები, ლტოლვილები და თანამშრომლები გათავისუფლებულნი არიან ყოველგვარი გადასახადისგან.

ჩვენი გაზეთის კავშირი 170-ე საბავშვო ბაგა-ბაღთან ამით არ ამოიწურება. სისტემატიურად მოგაწოდებთ მასალებს არა მარტო ამ ბაღზე, არამედ ვერის უბანში მდებარე სხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახებ.

ღმერთს ვთხოვთ, ყველა საბავშვო დაწესებულებაში, ისე ლაღად და ბედნიერად გრძობდნენ თავს ჩვენი ბავშვები, როგორც ქალბატონი იზა და მისი ალერსიანი თანამშრომლების მიერ შექმნილ ბუდეში.

აია მინაშვილი

საინჟინერო-სახლიანო მშენებლობის უზრუნველყოფის უზრუნველყოფა

სამშენებლო-სახლიანო მშენებლობის უზრუნველყოფის უზრუნველყოფა

ახალი სიცოცხლის დაბადება ბუნების უდიდესი სასწაულია (კეთილი ჯადოქრობა). ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი სიცოცხლის გაჩენას და მის სიცოცხლისუნარიანობას, კეთილ ჯადოქრებად უნდა ჩათვალოს. გარემოცვა უდიდესი უნდა იყოს, რომელიც პროცესს და არის კიდევ თუ მიზრდადობით და ნახავთ „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის, კონსტრუქციული ჩანაწერს, სახელობის, პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს“. ინსტიტუტში ყველაფერი ლამაზი, ნათელი და სუფთაა, კარგად შედგენილია, მყარია, თბილად გარემოში მოხვედებით, როგორ მოგროვებს ერთად ამდენი კეთილი ადამიანი? — მშვენიერი ქალბატონის, — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ინსტიტუტის სწავლული მდივნის, მეან-გინეკოლოგ-დოქტორის სიგუას აზრით, ეს ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ პალიკო კინტარაის და მსახურება. ბატონი პალიკო არა მარტო დიდი პედაგოგი, საქართველოს მეანობა-გინეკოლოგიის ტვინი, კათედრის გამგე და ერედირებული პირიდანაა, არამედ ზედმიწევნით პუნქტუალური. ინსტიტუტში მკვლევარად ისევ 600 თანამშრომელია, მხოლოდ რამდენიმე პენსიონერი მუხსუნა სამსახურის დატოვება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ინსტიტუტის დირექტორმა, ხელფასების გადანაწილება შემოიღო. ეს არის უკეთილშობილესი პროცესი ადამიანთა შორის თანაგრძობის, სიბოძა და სიყვარულის გაღვივებისა. დირექტორის მზრუნველი ხელი ატყვია აქ ყველაფერს. ქალბატონმა დოქტორმა დაგათავაღიერებინა შენობა, თვალს იტაცებს ბრწყინვალე აპარატურა, ნათელი, თბილი ოთახები, სადაც მშობიარეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, მიმდინარე რემონტებს ინსტიტუტი თავისი ხარჯით აკეთებს, უკვე რამდენიმე წელია სახელმწიფო ფინანსურად არ დახმარებთ.

ტად, ხოლო 1935 წლიდან მას დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეწოდებოდა. 1960 წელს ამ ინსტიტუტს გამოეყო პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რის შემდეგაც იგი დედათა მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელით გადასწავლეს.

ინსტიტუტში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მეანობა-გინეკოლოგიის გამოჩენილი მკვლევარი-მოღვაწეები: ინსტიტუტის პირველი დირექტორი ა.ა. რემერტი, ე.მ. სობესტიანსკი, ი.მ. თუმანიშვილი, ი.ე. თიკაძე, გ.მ. დამბარაშვილი, ბ.კ. ლობჯინიძე, ლ.კ. ელიაშვილი, გ.ე. ასათიანი, მ.ე. პაპიტაშვილი და საკავშირო სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კ.ე. ჩანავა, რომლის სახელსაც დამსახურებულად ატარებს ინსტიტუტი.

ინსტიტუტში მყოფი და არის რესპუბლიკის ძირითადი მეცნიერული და მეთოდური ცენტრი მეანობისა და გინეკოლოგიის განუყოფელი კავშირი მეცნიერულ, პრაქტიკულ და პედაგოგიურ მუშაობას შორის. ინსტიტუტის და კათედრის მჭიდრო თანამშრომლობამ ბევრი დადებითი მხარე გამოავლინა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სამეცნიერო საქმიანობის მოკლედ დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის მიერ პირველად შეიქმნა და გინეკოლოგიის პრაქტიკაში გამოყენებული იქნა:

- 1. ნაყოფის პირდაპირი ელექტროკარდიოგრაფია.
- 2. ნაყოფის რეოენცეფალოგრაფია.
- 3. შექმნილი იყო სპეციალური „ნაყოფის ელექტროემიოლოგიური პარამეტრების გადამკეში“, რომლითაც შესაძლებელი გახდა სამი ინფორმაცია



ციხის ხსენებული ჩაწერა მშობიარობის დროს (ნაყოფის ელექტროკარდიოლოგიის, რეოენცეფალოგრაფიის და ელექტროენცეფალოგრაფიის).

4. დადგენილია ნაყოფის ელექტროენცეფალოგრაფიის ნორმისა და პათოლოგიის შესაძლო ვარიანტები.

5. შექმნილია და დანერგულია კლინიკაში დიფერენციალური ახალმშობიარობის გრამატიკა და ახალმშობიარობის ცენტრის რეოენცეფალოგრაფიის მეთოდი.

6. პირველად, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მიღებულია ნაყოფის პირდაპირი ელექტროენცეფალოგრაფია და შექმნილია „ნაყოფის ტვინის პოლაროგრაფიის მეთოდი“, — ორი ინფორმაციის ერთდროული რეგისტრაციისათვის მშობიარობის დროს.

7. ასევე პირველად მეცნიერულად აქ დასაბუთდა ახალი ორიგინალური მეთოდიკის ვაკუუმ-უქსტრაქტორის ხმარების უპირატესობა.

8. დამუშავებულ იქნა ნაყოფის სქესის დადგენის მეთოდი ორსულობის ადრულ ვადებში სერმაგომოლიტის ელექტრული მუხის შესწავლით.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მეანობისა და გინეკოლოგიის უზრუნველყოფის სამსახურში

ციხის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში შემუშავებულია პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდები და საშუალებები.

ნაყოფისა და ახალმშობიარობის პათოლოგიის განვითარების ანტიპროფილაქტიკისა და მკურნალობის საშუალებების გამოყენების საშუალებები.

1. შექმნილია „სამშობიარო ტრამვის“ ექსპერიმენტული მოდელი სპეციალური მეთოდით, ქალას შიგნითა წნევის აღრიცხვით.

2. ექსპერიმენტში შესწავლილია ურთიერთკავშირი სისხლის მიმოქცევის, ნივთიერებათა ცვლისა და ფუნქციონირების სხვადასხვა ორგანოებისათვის და, პირველ რიგში, ნაყოფისა და ახალმშობიარობის თავის ტვინში ნორმისა, „სამშობიარო ტრამვისა და ადრენალინის პერიოდში“.

3. შექმნილია სპეციალური აპარატები ნაყოფის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოცულობითი სისწრაფის განსაზღვრავად ნაყოფისა და ახალმშობიარობის ტვინში, დოზირებული ტრამვის მისაყენებლად ნაყოფის და ახალმშობიარობის თავისთვის და აგრეთვე, ორიგინალური ელექტროდები, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაუმჯობესდეს მიღებული ინფორმაციის ხარისხი, მგრძობილობა და სიზუსტე.

4. ინტრანატალური ჰიპოქსიისა და „სამშობიარო ტრამვის“ გავლენა ნაყოფის, ახალმშობიარობისა და მორბილი ცხოველის ჰიპოთალამაში — ჰიპოფიზარულ სისტემაზე.

5. პირველად დაისვა საკითხი ნაყოფის ქალას შიგნითა სისხლჩაქცევებისა და რბილი სამშობიარო გზების ტრამვის განვითარებაში.

6. დამუშავებულია ახალი ობიექტური რადიონობრივი ჰისტომო-

რფოლოგიური მეთოდიკა პლაცენტის მდგომარეობის შესაფასებლად.

7. შესწავლილია პათოგენეზური კავშირის ზოგიერთი საკითხი რეგმაციზმისა და ქალის შიგნითა სასქესო ორგანოების ანთებით პროცესებს შორის.

8. პლაცენტის უჭრედების, მემბრანისა და კუნთოვანი ბოჭკოების ადენოზინტრიფოსფატაზური აქტივობა განთვლული მშობიარობის დროს. ეს ჩამონათვალი მოგვცა წარმოადგენს. ამ სამეცნიერო გამოკვლევებიდან და პრაქტიკაში წარმატებით დაინაგვიდგინა, რაც ინსტიტუტში მიმდინარეობს.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კ. ჩანავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი



აზლახან ვერისუბანს
შეემატა ახალი ლუდის
რესტორანი
„ყაზბაპი“
ლუდის მოყვარულებს
გეპატიუებით რესტორან
„ყაზბაპი“, სადაც სიამოვნებას
მოგანიჭებთ მაღალი კლასის მომსახურებით,
ქართულ-ევროპული კერძებით, სასმელებითა და რაც მთავარია, განუმეორებელი
ქართული ლუდით **„ყაზბაპი“**.

მისამართი: *მელიქიშვილის ქ. №8/12.*



ფაბი „**ლიმასტან**“ სასიამოვნო
სიუპრიზებს ჰპირდება სტუმრებს.
დილის 12 საათიდან ღამის 12 საათამდე
თქვენ აქ გიმასპინძლებენ ევროპული
სამზარეულოთი – ცოცხალი მუსიკის
თანხლებით, რომელსაც რომანტიულობას
ჰმატებს ბუნარში აბრიალებული
ცეცხლი და მშვიდი გარემო.

მოზრანდით, გელით!

მისამართი: *ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №15.*



ლამარა ბუბინიშვილსა და ლევან კუსიანს
გილოცავთ შობა-ახალ წელთან ერთად
ქორწინებიდან 36-ე წელს.
ჩვენო ძვირფასებო, გისურვებთ ღვთისაგან
მფარველობას, უთვალავ სიკეთეს, უკეთესი
მომავლის რწმენით, დაუსაბამოდ!
თქვენი შვილები, შვილიშვილები და ახლობლები.

„ღუძანი პერაზა“



გეპატიუებით ყველას,
ვისაც გამორჩეულად
გიყვართ მეგრული კერძები და
ევზოტიკური გარემო – საუკეთესო მომსახურებით.

მოზრანდით, გელით
ღღე-ღამის ნებისმიერ დროს.

მისამართი: *მელიქიშვილის ქ. №11.*

გთავაზობთ ფოტო-მომსახურებას
ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში.



მისამართი: *მ. კოსტავას 12.*
ფოტოგრაფი თამაზ კოჭლამაზაშვილი.

საუკუნის ასაკის ფინსაცმლის ფაბრიკა
თემალი სახელოსნო მოამსახურება მსურველებს
ხარისხიანად შეღავათიან ფასებში.

მისამართი: *ჭოველიძის ქ. №16.*

ნამცხვრებისა და ტორტების მსურველებს შეუძლიათ მიაკითხოთ
მაღაზიას „**ნამცხვრები**“, სადაც
სადღესასწაულოდ შეკვეთებსაც
ღებულობენ.

მისამართი: *ჭოველიძის ქ. №3.*

ნამცხვრების მაღაზია „**ვიქრის ბორა**“
გთავაზობთ უგემრიელეს და გემოვნებით
გაფორმებულ სადღესასწაულო ნამცხვრებსა
და ტორტებს. მიიღება შეკვეთებიც.

მისამართი: *ი. ნიკოლაძის ქ. №5*

გია კუსიანს
ქრისტიანობასა და დაბადების დღეს
გილოცავთ, რაინდული სიკეთითა და მშვენიერებით
გამორჩეულ, ჩვენო სიამაყვე.
ღმერთმა გადღეგრძელოს, გახაროს
შენი ოჯახით და არ მოგკლებოდეს
სიკეთე და სიყვარული, რომლისთვისაც
თავად ხარ დაბადებული საუკუნოდ!

შენი ოჯახის წევრები ვერისუბნიდან

პატარა ლევანიკო
დაბადების დღეს გილოცავთ
შენი ვერელი მამიდაშვილები:
ნინო, გიორგი, მარიამ, ირაკლი და
ბიძაშვილი გიორგი. გისურვებთ
მხიარულ ბავშვობასა და ბედნიერ
მომავალს.



ახალ 1999 წელს გილოცავთ და
ა.წ. 14 იანვრიდან გიწვევთ
„**ქალ პასი**“ - მექსიკური
სამზარეულოთი, სადაც ევზოტიკური
გარემო და მაღალი დონის მომსახურება
შეგიქმნით განუმეორებლად
სასიამოვნო განწყობილებას.

მისამართი: *ლამბაშიძის 10.*

ირმა მინაშვილსა და ნანა ჯიბლაშვილს
ღამადიშის დღესთან ერთად გილოცავთ
ახალ წელს. დედა-შვილიშის მადლი
გთუნდით. გისურვებთ ძლიერ
სისხარულსა და მუდმივ ბედს.
მალხაზ, ნარგიზ, თიკო მინაშვილები.

ტურისტული ფონდი „**რიბული**“
გთავაზობთ გამგზავრების საშუალებას
მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში –
შეღავათიანი ფასებით.

მისამართი: *მ. კოსტავას ქ. №3.*
(ბარ „წითელი ხარის“ შენობაში,
მეტრო „რუსთაველის“ პირდაპირ).

მინი-მარკეტი „**მარია**“ გიწვევთ ქართულ-უცხოური ნაწარმის შესაძენად
(სურსათი, სამრეწველო საქონელი).

მისამართი: *თ. ჭოველიძის ქ. №29.* (ყოფ. ბელინსკი).



აუთიქი „**ნინბანი**“ გთავაზობთ მზა
მედიკამენტებს.

მისამართი: *მ. კოსტავას ქ. №12.*

ბარი „**წითელი ხარი**“
ღღე-ღამის ნებისმიერ დროს
გეპატიუებით საუცხოო ატმოსფეროში.
თქვენ აქ დაგვხვდებით ქართულ-ევროპული
კერძები და სასმელები.

მისამართი: *მ. კოსტავას ქ. №3.*



„**მპრისუბანი**“ მადლობას
მოახსენებს სასტუმრო „**მუზა**“
დირექციას თანადგომისათვის.

სტომატოლოგიურ კაბინეტში „ფაიფური“
მუშაობენ მაღალკვალიფიციური, რესპუბლიკის
დამსახურებული ექიმები. მკურნალობენ
მინიმალურ ფასებში.

მისამართი: *შანიძის ქ. №2* (ყოფილი კალანდაძის ქ.)

„**ვინუსის**“ ბარი მაღალ დონეზე მოგემსახურებათ
საუცხოო ქართულ-ევროპული სამზარეულოთი,
სასმელებით, ცოცხალი მუსიკისა და ცნობილი
მხატვრული გილოების გარემოცვაში.

მისამართი: *თ. ჭოველიძის ქ. №8* (ყოფ. ბელინსკი).

აღბილი, სადაც დასავლეთი სვლება აღმოსავლეთს



❖ გემრიელი სადილები ხელმისაწვდომ ფასებში ❖ ქართული, დასავლური და აღმოსავლური სამზარეულოს რჩეული კერძები ❖ ბიზნეს სადილი ❖ ნიუ-იორკული პიცა ❖ ჯამის და კლასიკური მუსიკის საღამოები, სახელგანთქმული მუსიკოსების ცოცხალი შესრულებით ❖ ფასდაკლება დღეობების და წვეულებების მოწყობის შემთხვევაში ❖ ამერიკელი მენეჯერი უზრუნველყოფს უმაღლესი დონის მომსახურებას

მოზრანდით ვენა საარში.
მიმართვით შესანიშნავი ვახშამი და ისიამოვნეთ
გ. ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. 14. ტელ: 90-82-40

გაზეთ „**მპრისუბნის**“ სარედაქციო კოლეგია
მადლობას უხდის ფირმა „**დიად**“-ის ერთ-ერთ
დამფუძნებელსა და მენეჯერს, ბატონ
ზურაბ ცანავას და ამავე ფირმის
საგამომცემლო-კომპიუტერული ცენტრის
თანამშრომლებს, უანგაროდ გაწეული
დახმარებისათვის.

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
მაია კუსიანი-მარაბული
პასუხისმგებელი მდივანი:
ნარგიზ ნაღირაძე
სარედაქციო კოლეგია
მისამართი: *თბილისი, ბაღის ქ. №15. ტელ.: 29-43-87*